გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№22 (917) 10 - 11 მარტი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ლიტო გელოვანი

## არც გაათაქთაქოთ!

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

# პროკურატურა ნარკო და მძიმე დანაშაულებზე საპროცესო გარიგებებს ამკაცრებს



გვ. 3

არ არის გამორიცხული, თავდაპირველად ამ ინიციატივამ ციხეების გადავსება გამოიწვიოს, მაგრამ მეორეს მხრივ, პატიმართა გაზრდილი რაოდენობა იმის მანიშნებელი იქნება, რომ დანაშაული ისჯება. ნარკომომხმარებელს კი ეცოდინება, რომ 2000 ლარის ნაცვლად არ გაათავისუფლებენ

## შაშკინს ბინძურ გარიგებაში ამხელენ



გვ. 6

ვინ მფარველობს განათლების ექსმინისტრის ინგლისური ენის სახელმძღვანელოების ბიზნესს ახალ ხელისუფლებაში და რატომ მიდის კვალი რუსეთამდე

## ვისი დავალებით და რა მისიით იმყოფებოდა დოდო გუგეშაშვილი უკრაინაში

„ნაციონალურ მოძრაობასთან რა საქმე მაქვს?! ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარვყოფ!"

გვ. 4

## „ჩვენ ვქმნით თქვენს მომავალს"!

ინტერვიუ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორ კახაბერ კორძაიასთან (კიოტოს უნივერსიტეტის მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი)

გვ. 9

115

დიტო გელოვანი

**„რუსული რესტორანი ხომ არ არის შემთხვევით ამ ქალაქში?“ „მგონი... მე არ გამიგია, — გოგომ, რაღაც ბუკლეტი გადმოიღო და გადაფურცლა, — არის... „სრი ჩაინამენ“... ოღონდ მისამართი არ გვიწერია... არ არის პოპულარული რესტორანი...“ „სრი ჩაინამენ? ასე ჰქვია?.. რუსებს ჩინური რესტორანი გაუხსნიათ“. „არა, — თქვა გოგომ, — ჩინური არ არის, რუსულია“. „ყველა რუსი ბოლოს იქ მიდის, — მერხს ხელი დაჰკრა პლეხანოველმა მოგელამ, — ფული უთავდებათ და მიდიან რუსულ რესტორანში...“ „არ ვიცი, მე არ ვიცნობ რუსებს, — თქვა გოგომ და ქუდი შეისწორა, — ამბობენ, მდიდრები არიანო...“ „ვინ, რუსები? — გაიცინა პლეხანოველმა მოგელამ, — მაგათზე ღარიბი ძნელად მოიძებნება... ბოდიში, წავედი... სამი ჩინელი რა შუაშია, მაინც ვერ გავიგე“.**

*(აკა მორჩილაძე, Maid in Tiflis)*

# არც გაათაქთაქოთ!




გასული კვირა სასიამოვნო ინფორმაციით დაიწყო: „საქართველოში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გენდერული თანასწორობის კვირეული 2014 გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოში გაერო-ს წარმომადგენლობიდან აცნობეს, კვირეულის სლოგანია: „გენდერული თანასწორობა პროგრესია ყველასთვის“. მისი მიზანია, საქართველოს საზოგადოების — მთავრობის, ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების, სტუდენტებისა და მოქალაქეების, გაერთიანება ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის პრინციპების დასაცავად. კვირეულის ღონისძიებები 4-14 მარტს თბილისსა და რეგიონებში გაიმართება“.

ნათქვამია, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო... მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული მეჩვენებოდა, რადგან დასაწყისი — დასაწყისია და ბოლო — ბოლო, შუაში კი იმდენი და ისეთი რამ შეიძლება მოხდეს, რომ სულ გადაუსვას ხაზი, მაგრამ გასულ კვირაში ყველაფერი სწორედ ასე მოხდა — კვირა კარგად დაიწყო და დიდებულად დასრულდა. დასაწყისზე უკვე მოგახსენეთ, შაბათს კი იყო ეს: „ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, აქციითა და მსვლელობით აღნიშნავს. ფემინისტთა დამოუკიდებელმა ჯგუფმა მსვლელობა ფილარმონიიდან დაიწყო და პარლამენტთან დაასრულა. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის წარმომადგენელმა იდა ბახტაძემ განაცხადა, ისინი უკვე 3 წელია 8 მარტს აქციებს მართავენ. დღევანდელი აქციის თემაა „დავიცვათ ქალთა შრომითი უფლებები“. აქციის ორგანიზატორების თქმით, 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე არ უნდა აღინიშნებოდეს მხოლოდ ქალბატონებისათვის ყვავილების მირთმევით, არამედ ეს არის ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის დღე. მსვლელობაში დაახლოებით 50-მდე პირი მონაწილეობდა“.

დასაწყისი მართლაც სასიამოვნო იყო, დასასრულის დიდებულება კი საქმისადმი შემოქმედებით მიდგომაში გამოიხატა. „არც მოძღვარი და არც ქმარი, თავის ბედს წყვეტს თავად ქალი!“

ასე რომ, გასული კვირიდან მოყოლებული, ქართველებს უკვე საკუთარი როზა ლუქსემბურგი გვყავს — იდა ბახტაძე და ყველანაირი საფუძველი მაქვს, ვიფიქრო, რომ აღნიშნული სლოგანი სწორედ მისი ფანტაზიის ნაყოფია და რადგან გასული კვირა ქალბატონებს მიეძღვნა (კვირეულის ჩატარებას ნუ ეხუმრებით), უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ რამე აქტივობა იყო, ყველაფერში ქალის ხელი ერია — შეღშელა ფამ.

„სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი დღეს სოფელ ატოცში ჩავა და მავთულხლართების გაბმას გააპროტესტებს. ცნობილი სახეები, მსახიობები და მომღერლები დღეს სპორტის სასახლესთან შეიკრიბნენ და ატოცისკენ გაემგზავრნენ; საპროტესტო აქციის ლოზუნგია — „დავდგეთ იქ, სადაც ჯერ კიდევ საქართველოა“. მომღერალი ქეთათო ჩარკვიანი აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია, მსგავს აქციებში მეტი ადამიანი ჩაერთოს. „ჩვენ სამოქალაქო საზოგადოების წევრები ვართ და ვთვლით, რომ გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა გავიზიაროთ იმასთან დაკავშირებით, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება; მცოცავი ოკუპაცია გრძელდება და უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი დამოკიდებულება, ამიტომაც ჩავდივართ იქ, „სადაც ჯერ კიდევ საქართველოა“. რაც უფრო მეტი ჩართულობა იქნება და არ წავუყრუებთ, მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის. თვალების დახუჭვით პრობლემა არ გვარდება“, — აცხადებს ქეთათო ჩარკვიანი“.

მაიცა და, რომელ იდიოტს ჰგონია, რომ თვალების დახუჭვით შეიძლება პრობლემის მოგვარება? და, საერთოდ, მოდი ვაღიაროთ, რომ დღევანდელი ქართული ე.წ. ბომონდი არის აღმაშფოთებლად უნიჭო გოიმი იდიოტების ბანდა. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც უანგაროდ და რუდუნებით ახედებენ სარკეში ქართულ საზოგადოებას. ჩემი მადლობის ადრესატები არიან მაია ასათიანი და თამარ ჩერგოლეიშვილი, რომელთა თაოსნობით და უდიდესი ძალისხმევით, გასულ კვირაში მოხდა ბოზობის ლეგალიზება და საყოველთაო მინეტიზაციის შეუქცევადი პროცესი დაიწყო იქ, „სადაც ჯერ კიდევ საქართველოა“.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირაში გაკეთებული ყველაზე ხმაურიანი განცხადებები მხოლოდ საქართველოთი არ შემოიფარგლებოდა, ამის საუკეთესო მაგალითია ნუგზარ წიკლაური.

„უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, ერთის მხრივ, ცივილიზაციათა დრამატული დაპირისპირებაა დასავლურ ღირებულებებსა და მართვის ავტორიტარულ, ოლიგარქიულ სტილს შორის, ხოლო მეორეს მხრივ, გამოწვევა ევროპული საზოგადოებისა და საერთოდ დასავლური სამყაროსთვის. მიმაჩნია, რომ ამ პროცესში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული ნატო. ნატო–ს მეტი აქტიურობა სჭირდება. ალიანსის საბრძოლო ძალები მზადყოფნაში უნდა იყვნენ მოყვანილი... 2008 წლის აგისტოში სწორედ ნატო–ს ხომალდების შემოსვლამ და განცხადებებმა განაპირობა ის, რომ თბილისთან 30 კმ–ში მოახლოებული რუსეთის ჯარი შეჩერდა და ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გადარჩა“.

მაგარია წაკლა-ნუგზარა და შეე... შეეკითხე, თუ გინდა! თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შავ ზღვაში ნატო-ს ხომალდების შემოსვლამ არა მხოლოდ რუსები შეაჩერა თბილისიდან 30 კილომეტრის დაშორებით, არამედ, წითელი ხიდიდან აზერბაიჯანში გაქცეულმა ნაც-ბოზ-ბანდელებმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მხოლოდ 30 კილომეტრი გაიარეს და უკან დაბრუნდნენ, რათა მტერზე გამარჯვება ეზეიმათ.

ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ არის სასაცილო, მაგრამ თუ მაინცდამაინც სიცილის ხასიათზე ვართ და რამე სამხიარულოს გახსენება გვინდა, მოდი, გასული კვირის ტელედებატები გავიხსენოთ — როგორ დასცინოდა ტუჩებმოკუმული გივი თარგამაძე თვალებდაჭყეტილ ირაკლი სესიაშვილს და როგორ იჯდა მათ შორის ყბაჩამოვარდნილი ინგა გრიგოლია.

მაგრამ, რას იზამ? ასეთია ცხოვრება, მეტადრე კი, ცხოვრება და აზროვნება ენჯეოშნიკებისა და მწუხარებით მინდა აღვნიშნო, რომ მარნეულის შესასვლელთან აღმართული მონუმენტი სახელწოდებით „კიდევაც დაიზრდებიან“ ჩვენი ქვეყნის ენჯეოშნიკურ მომავალს უკავშირდება და ჩემი მეგობარი სააგენტოს ნიუსების მწკრივიც ამას ადასტურებს.

„აშშ-ს საელჩოსთან საპროტესტო აქცია გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ორგანიზატორებმა აცნობეს, არასამთავრობოები მოუწოდებენ აშშ-ს და საერთაშორისო თანამეგობრობას, „შეშფოთებიდან“ გადავიდნენ ქმედით, მყარ და კონკრეტულ ნაბიჯებზე, რათა რუსეთმა ვერ შეძლოს დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოზე ძალისმიერი ქმედების განხორციელება. აქციის ორგანიზატორები არიან „საზოგადოებრივი აზრი”, „ახალგაზრდა დიპლომატთა ალიანსი“, JCI და „საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა ლიგა“ — ეს, ერთი ნიუსი, რომელსაც გავეცანი და ჯერ კიდევ ვერ მივმხვდარვარ, რა განსხვავება შეიძლება იყოს „ახალგაზრდა დიპლომატთა ალიანსსა“ და „საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა ლიგას“ შორის. მომავალი იქით იყოს და, წარსულსაც გადავავლოთ თვალი, გასული კვირა კი, უკვე წარსულია და ამაში ენჯეოშნიკებიც ვერ შემომედავებიან.

გასულ კვირაში მორიგი ენჯეოშნიკური აქტივობა დაფიქსირდა და, სხვათა შორის, ერთობ სექსუალური სახელწოდებით — „ეს შენ გეხება“.

თვიდან იყო ანონსი: „უკანონო მოსმენების წინააღმდეგ კამპანია „ეს შენ გეხება“ იწყება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კამპანიის ორგანიზატორებმა აცნობეს, სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფი განახლებულ „ეს შენ გეხება“ კამპანიას წარადგენს“.

შემდეგ, იყო ნიუსი: „უკანონო მოსმენების წინააღმდეგ კამპანია — „ეს შენ გეხება“ იწყება. არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფმა განახლებული კამპანიის შესახებ განაცხადა. განახლებული კამპანიის სლოგანია — „ეს შენ გეხება! ისევ გვისმენენ!“.

მოკლედ, გასული კვირა სლოგანების კვირა იყო: 1. „არც მოძღვარი და არც ქმარი, თავის ბედს წყვეტს თავად ქალი!“ 2. „დავდგეთ იქ, სადაც ჯერ კიდევ საქართველოა“ 3. „ეს შენ გეხება! ისევ გვისმენენ!“.

ბოლომ დაგლიჯა — ისევ გვისმენენო. მე ის მადარდებს და იმას ვჩივი, ჯერ კიდევ რომ უსმენენ და მაგათ რომ უსმენენ, იმიტომაც ხდება აქტუალური სიტყვები „სადაც ჯერ კიდევ საქართველოა“.

სადაც ამ ასომთავრულ და ასოთამწყობ ენჯეოშნიკებს უსმენენ, საქართველო მართლაც არის „ჯერ კიდევ“ და მალე გახდება „ერთ დროს“. მაგალითად, მე არასოდეს ვუსმენ ეკა გიგაურს, მხოლოდ ვუცქერ და ჩემთვის მაინტერესებს, იგი უფრო შეშფოთებულია, უფრო აღშფოთებული თუ, უბრალოდ, გარეგნობა აქვს ეგეთი — „ა ლა ჩიორა, ა ლა ყაფი“.

მაგრამ, რას იზამ — სე ლა ვი... კვლავაც იქნება საპარლამენტო არჩევნები, ნანა ყეენიშვილს ეკა გიგაური შეცვლის, ირაკლი სესიაშვილს — კახა კოჟორიძე და მაშინ კი მივხვდებით, რომ ამ სერიალის ყურებას ისევ თურქული სერიალების ცქერა სჯობს, რადგან ამ სერიალში მხოლოდ სიცარიელეა და თან პირდაპირი გაგებით. ორი ნიუსის მაგალითზე ავხსნი.

„საარჩევნო კოდექსის“ პროექტის განხილვა პარლამენტის თითქმის ცარიელ სხდომათა დარბაზში მიმდინარეობს. პარლამენტის სესია 16:00 საათზე, საარჩევნო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების განხილვით განახლდა. უმრავლესობიდან და უმცირესობიდან პლენარულ სხდომას ამ დროისთვის 25-მდე დეპუტატი ესწრება.

პროექტს დღეს დეპუტატები მეორე მოსმენით იხილავენ“, — რავარია? ხომ არის გოჭივით? აი, კიდევ ერთი გოჭივით ნიუსი: „საქართველოს პარლამენტი 10 540 ლარის ღირებულების მუყაოს ყუთების შეძენას გეგმავს. სატენდერო განცხადება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა. სატენდერო მოთხოვნების მიხედვით პარლამენტი სამი სხვადასხვა ზომის 6 000 ყუთის ყიდვას აპირებს. ყუთების მიწოდება ქუთაისში, პარლამენტში უნდა განხორციელდეს. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, აღნიშნული ყუთებით პარლამენტიდან თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში საბუთების, საკანცელარიო ნივთებისა და ტექნიკის გადატანა იგეგმება“.

მხიარულად ვცხოვრობთ... დღე არ გავა, რამე სახალისო და სამხიარულო არ მოხდეს, კვირა არ გავა, რამე ისეთი არ გავიგოთ, როგორც ეს: „ნოდარ ხადური — ხელისუფლების პრიორიტეტია, ეკონომიკური ზრდა თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე აისახებოდეს“.

შეჩერდი, ნოდარ, ნუ გაიმეორებ ნაპოლეონ ბონაპარტის შეცდომას, გაიმაგრე ფესვები... გაიმაგრე, რა, ფესვები, თორემ ხომ გახსოვს „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ და „მეტი სარგებელი ხალხს“.

თუ არა და, აი, რას ამბობს ალექსა შალამბერიძე — „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ფულის საშოვნელად მოვიდა“ და აი, რას გეგმავენ ჯონდი ბაღათურია და კახა კუკავა — „თავისუფალი საქართველო“ და „ქართული დასი“ ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნაზე მზადყოფნას გამოთქვამენ“.

ჩვენში დარჩეს და, „თავისუფალ საქართველოსა“ და „ქართულ დასს“ შორის იმდენივე განსხვავებაა, რამდენიც „ახალგაზრდა დიპლომატთა ალიანსსა“ და „საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა ლიგას“ შორის.

არავითარი განსხვავება, მხოლოდ ხელის სისწრაფე, ანუ ხელცქვიტობა, რითაც ესოდენ მდიდარია დღევანდელი ქართული რეალობა. აი, ზემოთ რომ წუწუნებდნენ, ჯერ კიდევ გვისმენენო, ეგენი ორმაგი სტანდარტებით აზროვნებენ. თან ადარდებთ, რომ უსმენენ და თან ითხოვენ კიდეც, მოგვისმინეთ და გაითვალისწინეთო. ეს თუ ასე არ არის და მაშინ გასულ კვირაში არც ეს ყოფილა: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. „მომავალ ჟურნალისტებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩაერთონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქარტიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, მიიღონ ნებისმიერი კონსულტაცია და დახმარება ქარტიის მანდატისა და უფლებამოსილების ფარგლებში. უნივერსიტეტი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და ქარტიის თანამშრომლობას, შეხვედრებს და დისკუსიებს”, — აღნიშნულია თსუ-ს განცხადებაში“.

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ორგანიზაცია „რატომ“ უნივერსიტეტს რომ მიადგეს, იქ მას აუცილებლად დახვდება ორგანიზაცია „იმიტომ“.

„საჯარო სამსახურის“ კანონში ცვლილებები იმიტომ ხორციელდება, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები დასაქმდნენ“, — განაცხადა გასულ კვირაში ჩიორა თაქთაქიშვილმა. თაქთაქიშვილის სიტყვებზე მყისიერი რეაგირება ჰქონდა გარემოს დაცვის სამინისტროს, რეაგირება კი იმაში გამოიხატა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად რამაზ ნიკოლაიშვილის მარჯვენა ხელი და ნდობით აღჭურვილი პირი დანიშნა.

რა ნამუსით, რა პირით ლაპარაკობს ასეთ სისულელეებს ჩიორა თაქთაქიშვილი?!

არც გაათაქთაქოთ.

ს.გ. (სალაპარაკო გვაქვს) „მისმინე, სალაპარაკო მაქ“, — თქვა პლეხანოველმა მოგელამ და უცებ უკნიდან მოესმა: „სლიზაის მაეი ბაბი, პონიალ, სუკა?“ პლეხანოველმა მოგელამ მოიხედა, ქალმა კი შეჰკივლა, ნი ნადა ვალოძიაო. ის კაცი იყო, დანიელა რომ არ გაატანა და კიდევ ორნი. „პონიალ?“ „პაშოლ ნახუი, — შეუძახა პლეხანოველმა მოგელამ, — მაც ტვაიუ იობ...“

*(აკა მორჩილაძე, Maid in Tiflis)*

# პროკურატურა ნარკო და მძიმე დანაშაულებზე საპროცესო გარიგებებს ამკაცრებს

გიორგი იაშვილი

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დანაშაულთან ბრძოლამ უპრეცედენტო მასშტაბი მიიღო და შედეგიც სახეზეა — ოფიციალური მონაცემებით, დანაშაულის კლება შეინიშნება. მიუხედავად ამისა, კრიმინალებმა ფანტაზიას გასაქანი მისცეს და ახალ-ახალ რამეებს იგონებენ. განსაკუთრებით კი ნარკოტიკების მომხმარებლები გააქტიურდნენ, რომლებმაც ისეთი ნარკოტიკის მოხმარება გადაწყვიტეს, რომელიც სისხლში არ ჩანს. საუბარია ე.წ. ბიო ნარკოტიკზე, თუმცა სამართალდამცავებმა შესაბამისი აპარატურა უკვე შეიძინეს და „ბიო-ნარკოტიკული“ თრობაც აღარაა ძნელი დასადგენი. მთავარმა პროკურატურამ დანაშაულთან ბრძოლის გამკაცრება გადაწყვიტა და მთავარი პროკურორი, გიორგი ბადაშვილი ახალი ინიციატივით გამოვიდა. სანამ ახალი ინიციატივის შესახებ გეტყოდეთ, იმას შეგახსენებთ, რაც ბადაშვილმა თანამდებობაზე დანიშვნიდან მეორე დღეს განაცხადა: „ყურადღება უნდა მიექცეს სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების სტანდარტების ამაღლებასა და მტკიცებულებების მოპოვების გზების დახვეწას, რაც პროკურატურის წარმოებაში გახმაურებული საქმეების მრავლად არსებობის პირობებში, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იქნება. ასევე, უნდა ამაღლდეს თითოეული საქმის გამოძიებისას საპროკურორო ზედამხედველობისა და საპროცესო კონტროლის ხარისხი, რაც შემდგომში სასამართლო სტადიაზე მყარ საფუძველს შექმნის პროკურორების მხრიდან სახელმწიფო ბრალდების კვალიფიციურად განსახორციელებლად“.**



არ არის გამორიცხული, თავდაპირველად ამ ინიციატივამ ციხეების გადავსება გამოიწვიოს, მაგრამ მეორეს მხრივ, პატიმართა გაზრდილი რაოდენობა იმის მანიშნებელი იქნება, რომ დანაშაული ისჯება. ნარკომომხმარებელს კი ეცოდინება, რომ 2000 ლარის ნაცვლად არ გაათავისუფლებენ

ნარკოტიკულ და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე „მთავარი პროკურორის ინიციატივით ნარკოტიკულ და სხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების დადება ნაკლებად მკაცრი პირობებით გაჭირდება“. „საპროცესო შეთანხმების გაფორმების იმედი არ უნდა ჰქონდეს იმ პირებს, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან პრეზიდენტის შეწყალების შედეგად გამოვიდნენ და დანაშაული ისევ ჩაიდინეს“.

რას მოგვიტანს ეს? სანამ ადვოკატთა და, უშუალოდ, პროკურატურის პოზიციას გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ აღნიშნული ინიციატივა გარკვეულ რისკებს შეიცავს, მაგრამ მოსალოდნელი შედეგის გათვალისწინებით, გარისკვა ღირს. პირველ რიგში, „იმ პირებს“, რომლებიც ათასგვარი პრეპარატითა თუ ქიმიური შენაერთებით ნარკოტიკს იღებენ და მოიხმარენ, ზუსტად ეცოდინებათ, რომ საკუთარი თავისა და გარშემომყოფთათვის ზიანის მიყენება ციხედ დაუჯდებათ ანუ აღარ იქნება ის, რომ მოხმარებისთვის გადაიხადე ჯარიმა, გამოხვედი გარეთ და ახალი დოზის დამზადება დაიწყე. ციხე ძალიან ბევრს დააფიქრებს და გისოსებსმიღმა მოხვედრა რომ არავის უნდა, ფაქტია.

**„წინა ხელისუფლების პირობებში საპროცესო შეთანხმება შედარებით ლმობიერ სასჯელზე ფორმდებოდა, ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ და სხვა მძიმე თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებთან, ბადაშვილის ინიციატივა კი გულისხმობს, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენს სასჯელიც მძიმე ექნება და საპროცესოს იმედიც ნაკლებად უნდა ჰქონდეს“.**

ოფიციალურად, პირს შეწყალების უფლება მხოლოდ ერთხელ აქვს, მაგრამ გვქონია შემთხვევები, რომ წინა ხელისუფლების პირობებში ამ უფლებით პირები რამდენჯერმე სარგებლობდნენ და მეორე შეწყალებას ვინ ჩივის, მესამე, მეოთხე და მეხუთე შეწყალებითაც კი გასულან თავისუფლებაზე. როცა პირს შეწყალებით ოთხჯერ გაუშვებ, ის ახალი დანაშაულის ჩადენისგან თავს რომ არ შეიკავებს, მარტივი მისახვედრია. იმის მიუხედავად, რომ ახლა აღარც ძველი ხელისუფლებაა და აღარც ძველი პრეზიდენტი, ოფიციალურად იმის თქმა, რომ შეწყალებით გასული პირები განმეორებითი დანაშაულის შემთხვევაში მკაცრად დაისჯებიან, მაინც მნიშვნელოვანია.

არ არის გამორიცხული, თავდაპირველად, ამ ინიციატივამ ციხეების გადავსება გამოიწვიოს და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები აქეთ მოუბრუნდნენ ამჟამინდელ ხელისუფლებას, ჩვენ რომ გვამუნათებდით, თქვენი ციხეც სავსეაო, მაგრამ მეორეს მხრივ, პატიმართა გაზრდილი რაოდენობა იმის მანიშნებელი იქნება, რომ სანქციები გამკაცრებულია და დანაშაული ისჯება. ნარკომომხმარებელს კი ეცოდინება, რომ 2000 ლარის ნაცვლად არ გაათავისუფლებენ.

კომენტარისთვის როგორც პროკურატურას, ისე ადვოკატებს მივმართეთ. აი, რა გვითხრეს საზოგადოებისთვის ცნობილმა ადვოკატებმა.

**ლალი აფციაური:** „დავუშვათ, დაიჭირეს ნარკომანი. არის რაიმე პრევენციული ზომა, რომ იმ ერთი თუ ორი კვირის განმავლობაში, როცა ამ პატიმრებს საშინელი ტკივილი და ე.წ. ლომკა ექნებათ, რაიმეს უშველიან? არ სჯობს, ამ პატიმრებს ციხეში შესვლის ნაცვლად უმკურნალონ? ამაში წავიდეს თანხები. არ მგონია, ასეთმა მიდგომამ გაამართლოს. ამას ნარკომანებზე ვამბობ, თორემ თუ გამავრცელებლებს საპროცესოს არ გაუფორმებენ, ლოგიკური იქნება და არ მგონია, ვინმემ გააპროტესტოს. ესეც ინდივიდუალურია. რთულია, როცა საქმე გვაქვს უმძიმეს დანაშაულთან, მაგრამ მიზეზიც ხომ საინტერესოა? ვერ გეტყვით, რომ რადიკალური მიდგომა კარგი იქნება. ვარაუდი, რომ ამით დანაშაული შემცირდება, აბსურდია. ამის არ მჯერა. რაც შეეხება შეწყალებას, კანონი ისედაც ერთხელ შეწყალებას ითვალისწინებს ანუ მეორედ შეწყალება არ ხდება, მაგრამ სააკაშვილმა ბოლოს იმდენი და იმდენჯერ შეიწყალა, სათვალავი თავადაც აერეოდა“.

**გელა ნიკოლაიშვილი:** „როგორც უფლებადამცველი, სანქციების გამკაცრებას არ ვეთანხმები, მით უმეტეს, ნარკოდანაშაულზე, რადგან მაგალითად, მარიხუანაც ნარკოტიკად ითვლება და გამოდის, მისი მოხმარებისთვის ადამიანი ციხეში უნდა გამოკეტონ? ან ნარკომანებზე რომ ვამბობთ, ავადმყოფები არიანო, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა ვუმკურნალოთ. ყველა დანაშაული ინდივიდუალურია და ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს, რატომ ჩაიდინა, რა იყო მოტივი და მიზანი. მგონია, ეს შედეგს არ მოიტანს. მაშინ რაღა საპროცესოს ვაუქმებთ, შემოვიღოთ ირანსა და მალაიზიასავით სიკვდილით დასჯა. ეს პრობლემას არ უშველის. თუნდაც მძიმე დანაშაული განვიხილოთ — წინასწარ ხომ არ ვიცით, რატომ ჩაიდინა ეს ადამიანმა, რა უძღვოდა წინ. ვიმეორებ, ნებისმიერი საქმე ინდივიდუალურია და ბევრი რამ უნდა გავითვალისწინოთ... თუ ადამიანმა შეწყალების უფლება გამოიყენა და შემდეგ დანაშაული ჩაიდინა, ბოლომდე ხაზი უნდა გადაუსვა? მგონია, რომ ეს ინიციატივა არ გაამართლებს და მიმაჩნია, რომ შანსი ყველას უნდა ჰქონდეს“.

**ლია მუხაშავრია:** „არ მგონია, ცუდი იყოს და ახლავე აგიხსნით, რატომ — კანონის მიხედვით, პროკურორებს ნებისმიერ დანაშაულზე და ნებისმიერ დროს აქვთ საპროცესო გარიგების მოთხოვნის უფლება და ეს მათ უდიდეს უპირატესობას აძლევს. ეს თუ დარეგულირდება და გარკვეულ დანაშაულებზე აკრძალვა იქნება, გარკვეულწილად, დააბალანსებს სიტუაციას. ძნელია საუბარი, როცა დოკუმენტი არ მინახავს და დეტალები არ ვიცი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმება ძალიან ძნელია მოსასმენადაც და განსახორციელებლადაც. თან დაზარალებული მხარის ინტერესებიც ხომ უნდა იქნას გათვალისწინებული? პლუს, ნარკოდანაშაული სხვადასხვაგვარია — მსუბუქ დანაშაულზე, ცოტა არ იყოს, მკაცრად მეჩვენება, მაგრამ ვიმეორებ, დეტალებია საინტერესო და მერე იქნება საუბარი უფრო მარტივი“.

**გიორგი ჩივიაშვილი:** „იმის გამო, რომ დოკუმენტი არ მინახავს, კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ. ვნახოთ ჯერ, რა ინიციატივა იქნება, რას დაამტკიცებენ და მერე ვისაუბროთ“.

**ასეთი გახლდათ ადვოკატების პოზიცია, რაც შეეხება პროკურატურას, კომენტარისთვის საქართველოს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, თეიმურაზ დოლიძეს მივმართეთ.**

**„ჩვენ ნარკო და მძიმე დანაშაულებზე სანქციები გავამკაცრეთ. ეს მთავარი პროკურორის, გიორგი ბადაშვილის ინიციატივაა. ახალი ინიციატივის ფარგლებში, ნარკოტიკის აღმოჩენის შემთხვევაში, პირი კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება. ჩვენი უწყება, ასევე, მკაცრად გააკონტროლებს ე.წ. ბიოს მოხმარების საკითხს. პროკურატურის მუშაობა საზოგადოების უსაფრთხოებისა და სამართლიანობის დაცვისკენაა მიმართული“,** — გვითხრა დოლიძემ.

რას მოიტანს ინიციატივა, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, თუმცა იმის თქმა, რომ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლოზე პროკურატურის იმედად არ უნდა მიეჩქარებოდეს, ახლავე შეიძლება.

სკანდალური საქმე

# ვის ინტერესშია პოლკოვნიკი მინდია არაბულის დაკავება

## ათი წლის წინ, ქავთარაძეზე მომხდარი მკვლელობისა და ყაჩაღობის უცნობი დეტალები



ანა დადიანი

**ერთი თვის წინ, შსს-მ გვამცნო, რომ 2003 წელს მომხდარი გახმაურებული დანაშაული — საბურთალოზე, ქავთარაძის ქუჩა №25-ში მომხდარი მკვლელობა და ყაჩაღობა გახსნილია. 10 წლის წინ, 2003 წლის 3 დეკემბერს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარის, გენერალ ვალერი ჩხეიძის საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში მომხდარ დანაშაულს დიდი ხმაური მოჰყვა. გარდა იმისა, რომ მოკლული იყო უშიშროების ახალგაზრდა თანამშრომელი ირაკლი ბასილაშვილი, მეორე დაზარალებული საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კადრების იმდროინდელი უფროსი დავით ჩხეიძე გახლდათ, თუმცა დამყაჩაღებლებმა მას მხოლოდ მსუბუქი დაზიანება მიაყენეს და, მობილურ ტელეფონთან ერთად, 40-მდე ლარი წაართვეს. ყოველ შემთხვევაში, 10 წლის განმავლობაში გამოძიებას ასეთი ინფორმაცია ჰქონდა. მედიით კი სხვადასხვა ვერსია ვრცელდებოდა, მათ შორის, ის, რომ დავით ჩხეიძე თითქოს ვალერი ჩხეიძის „ხაზინადარი“ იყო და თვეში ერთხელ მასთან საზღვრებზე „აკრეფილი“ ფული მიჰქონდა. სახელდებოდა სხვადასხვა თანხაც, რომელიც თითქოს ყაჩაღებმა წაიღეს.... დაზარალებული დუმდა. სისხლის სამართლის საქმე თაროზე შემოიდო. მოულოდნელად კი, 2014 წლის 1 თებერვალს, შსს-მ, სხვებთან ერთად, შს სასაზღვრო პოლიციის ყაზბეგის სასაზღვრო გამშვები პუნქტის უფროსი, პოლკოვნიკი მინდია არაბული დააკავა. ყაჩაღობის წაქეზება — არაბულის მიმართ წარდგენილი ბრალი საზოგადოებისთვის მოულოდნელი იყო, რადგან ამ უკანასკნელს უმწიკვლო რეპუტაცია ჰქონდა და მთაში, სადაც წლები რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტს ხელმძღვანელობდა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მინდია არაბულის ადვოკატის, მარიამ შათირიშვილის თქმით, საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, იმდენი საეჭვო გარემოება გამოიკვეთა, რომ არაბულის უდანაშაულობასა და მის წინააღმდეგ კონკრეტული პირების დაინტერესებაში თითქმის დარწმუნებულია.**

**— ქალბატონო მარიამ, რას გულისხმობთ „კონკრეტული პირების დაინტერესებაში“? შესაძლოა, ადამიანი უდანაშაულოდ მიგაჩნდეთ, მაგრამ ეს მის წინააღმდეგ შეთქმულების არსებობას ადასტურებს?**

— გეტყვით რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც საქმის მასალებშია ასახული და ამის შემდეგ ყველაფერი თავად განსაჯეთ:

სს საქმე 2003 წლის 3 დეკემბერს აღიძრა. იმ დროს წარმოებული მასალების მიხედვით აშკარად ჩანს, რომ გარდაცვლილ ირაკლი ბასილაშვილის ოჯახსაც და გამოძიებასაც ეჭვი დაზარალებულ დავით ჩხეიძეზე მიაქვს, რადგანაც ბასილაშვილი შემთხვევის ადგილას ანუ სადარბაზოს ლიფტში დავით ჩხეიძესა და თავდამსხმელებთან ერთად სრულიად შემთხვევით მოხვდა. ის გარდაცვლილია, ჩხეიძეს კი მსუბუქი დაზიანებები აქვს... ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მიხედვითაც, საქმეში სხვა ეჭვმიტანილები არ არსებობენ. 2004 წელს საქმის გამოძიება ჩერდება... ზუსტად 4 წლის შემდეგ, 2008 წელს ერთ-ერთი პატიმარი, რომელსაც პირველი ინსტანციით უკვე მისჯილი აქვს სოლიდური სასჯელი, განცხადებით მიმართავს პროკურატურას და, საპროცესო შეთანხმების დადების სანაცვლოდ, 2003 წელს ქავთარაძის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობისა და ყაჩაღობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სთავაზობს. მართლაც, პატიმარი დაკითხულია მოწმის სტატუსით, სადაც იგი გვარებით და მეტსახელებით ასახელებს დანაშაულის მონაწილეებს, უთითებს მათ საცხოვრებელ ადგილებს და ინფორმაციის წყაროსაც. ამის შემდეგ გამოძიების მიერ განხორციელებულია რამდენიმე საგამოძიებო ქმედება, რის შედეგადაც იღებენ ინფორმაციის დადასტურებას და... საქმე ისევ ჩერდება, ჩერდება, კვლავ 4 წლით!

2012 წელს სს საქმის ძიება განახლდა — მას შემდეგ, რაც დაზარალებულ დავით ჩხეიძის შვილმა შს ორგანოებში დაიწყო მუშაობა. სწორედ მის უშუალო უფროსს, დავით კიკნაძეს მიმართა განცხადებით დავით ჩხეიძემ, თითქოს 10 წლის შემდეგ, შემთხვევით, ქუჩაში გადააწყდა ერთ-ერთ თავდამსხმელს და ამოიცნო. საქმეში მალევე ჩნდება ახალი მოწმე, რომელიც თავს ერთ-ერთ დამყაჩაღებლად, პოლკოვნიკ მინდია არაბულს კი ყაჩაღობის დამგეგმავად ასახელებს. აგრეთვე, ასახელებს 2 ადამიანს, რომელთაგანაც ერთი მინდია არაბულის უბნელია და მხოლოდ ამ დონის ნაცნობობა აკავშირებს, მეორეს კი დედა ჰყავს ყაზბეგიდან, საიდანაც მინდია არაბულია და ბავშვობიდან იცნობს. ჩვენების სანდოობა ვერაფრით მოწმდება, ყოველ შემთხვევაში, სს საქმეში ჯერჯერობით არაფერი ჩანს. სამაგიეროდ, ელვისებური სისწრაფით დასრულდა 10 წლის განმავლობაში ძიებაში მყოფი საქმე — სამსახურში დააპატიმრეს მინდია არაბული, ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, უარი ათქმევინეს ადვოკატის მომსახურებაზე, წაუყენეს ბრალი სსკ 25-179-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს და შეუფარდეს წინასწარი პატიმრობა. პარალელურად, სრულიად უკანონოდ, „სისტემის ავტორიტეტის შელახვისთვის“ ხდება მინდია არაბულის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან... ამას დაუმატეთ საკმაოდ ბევრი საპროცესო დარღვევა სს საქმის წარმოების დროს, რაზეც თქვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებ.... რას იფიქრებდით? ცხადია, ლოგიკა ერთია: მინდია არაბული მიზანმიმართულად ჩამოაშორეს დაკავებულ თანამდებობას და ციხეში გამოკეტეს. ისიც ცალკე საუბრის თემაა, რომ დაზარალებულ ჩხეიძეს 10 წლის მერე გაახსენდა ყაჩაღების მიერ მისთვის „45 000 აშშ დოლარის წართმევა, რომელიც იმ დღეს ხელთ ჰქონდა...“ სს საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე კი, რომელმაც თავდამსხმელები „ამოიცნო“, ჩხეიძის სიდედრია...

**— მართლაც, საინტერესოა.... ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე საუბრობთ. რა პოზიცია აქვს თქვენი დაცვის ქვეშ მყოფს ან რა მდგომარეობაშია ამჟამად?**

— არაბული პირველი შოკიდან, რომელიც დაკავებისა და მასზე შერაცხული ბრალის შინაარსის გაგების შემდეგ მიიღო, უკვე გამოსულია. ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ, არაერთხელ მოითხოვა გამომძიებლის მიერ დაკითხვა, რაზეც ჯერჯერობით უარი მივიღეთ. დარწმუნებულნი ვართ, სასამართლოზე არა მხოლოდ ჩვენს სიმართლეს დავამტკიცებთ, არამედ, ძალიან საინტერესო პროცესის მოწმენი გავხდებით, რადგანაც სს საქმეში როგორც ყოფილი, ისე მოქმედი ხელისუფლების მაღალჩინოსნების გვარები ფიგურირებს... აუცილებლად გამოიკვეთება, ვისი ინტერესი იყო მინდია არაბულის თავიდან მოშორება. გამოიკვეთება, ვისი ინტერესი იყო 10 წლის განმავლობაში სს საქმის თაროზე შემოდება და დღეს, 2-3 თვეში ასე დამთავრება. არაბულის პირველ წარდგენაზე სასამართლოში, სადაც წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, ბრალდების მხარემ თავად დაასახელა გამოძიების დამთავრებისთვის საკმარის ვადად — 1 თვე, წინასასამართლო სხდომა 4 მარტს უნდა გამართულიყო, მაგრამ უცებ „მიხვდნენ“, რომ საქმეში მტკიცებულებები, პრაქტიკულად, არ იყო და 2 თვით მოითხოვეს საგამოძიებო ვადის გაგრძელება! მართალია, მოსამართლემ ეს მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ვადა კიდევ 1 თვე მისცა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს მხოლოდ დროის გაჭიანურებაა. მთავარი მიზანია, მინდია არაბული რაც შეიძლება, დიდხანს დარჩეს პატიმრობაში!

**— ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნები ახსენეთ... რომელიმეს ვერ დაასახელებთ?**

— ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესებისა და დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ვერ დავასახელებ. სასამართლოს პროცესზე ყველაფერს ნათელი მოეფინება. მერწმუნეთ, რაზეც ახლა ვსაუბრობთ, ზღვაში წვეთია იმ შეუსაბამობასა და დარღვევებთან, რაც სისხლის სამართლის საქმეშია.

**ამ დროისთვის მინდია არაბული პატიმრობაში რჩება. წინასასამართლო სხდომა 3 აპრილსაა ჩანიშნული. „ვერსია“ პერიოდულად მოგაწვდით ინფორმაციას ამ საქმესთან დაკავშირებით.**

უკრაინული ომის ექო

# ვისი დავალებით და რა მისიით იმყოფებოდა დოდო გუგეშაშვილი უკრაინაში

## „ნაციონალურ მოძრაობასთან რა საქმე მაქვს?! ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარვყოფ!“

რუსუდან შელია
557-100-768



**„ვერსიის“ ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობა უკრაინაში გასამგზავრებლად მოხალისეთა ჯგუფს აგროვებს, ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად კი, დახმარება „მხედრიონის“ ყოფილ თუ ამჟამინდელ წევრებს სთხოვა. ვეტერანთა უფლებების დაცვის ასოციაცია „პატრიოტის“ დამფუძნებელი, პოლკოვნიკი დოდო გუგეშაშვილი ადასტურებს, რომ მისი „მხედრიონელი“ მეგობრები დიდი ხანია, უკრაინაში საბრძოლველად მზად არიან და ევრომაიდანზეც იმყოფებოდა, თუმცა ნაციონალურ მოძრაობასთან ყოველგვარ კავშირს უარყოფს. აფხაზეთის ომის ვეტერანი „ვერსიასთან“ უკრაინაში გამართული შეხვედრების დეტალებს იხსენებს.**

— უკრაინას აგრესორ და დამპყრობელ რუსეთთან იგივე სირთულეები აქვს, რაც რამდენიმე წლის წინ საქართველოს ჰქონდა... აფხაზეთში უკრაინული ორგანიზაცია „უნა უნსოს“ წევრები ჩვენთან ერთად იბრძოდნენ, ამიტომ, როცა უკრაინელი ხალხი, ევროინტეგრაციის მოთხოვნით, ევრომაიდანზე გამოვიდა, მაშინვე უკრაინაში ჩემს მეგობრებს დავუკავშირდი.

**— ძველ მეგობრებს ევრომაიდანზე დახმარება ხომ არ შესთავაზეთ?**

— დიახ, თანამებრძოლებთან ერთად უკრაინაში ჩასვლას ვაპირებდი, მაგრამ მაშინ იანუკოვიჩი თავის ბერკუტითა და სპეცრაზმით კიევის აეროპორტს სრულად აკონტროლებდა, ამიტომ უკრაინაში ჩასვლა, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდა — როგორც უკრაინელმა ბიჭებმა გაგვაფრთხილეს, დიდი ალბათობით, აეროპორტშივე დაგვაკავებდნენ, ამიტომ მე და ჩემი მეგობრები შესაფერის მომენტს ველოდით.

**— მეგობრებში ყოფილ „მხედრიონელებს“ გულისხმობთ?**

— ყოფილი „მხედრიონელი“ არ არსებობს! ასე მხოლოდ ის ადამიანები უნდა მოვიხსენიოთ, რომლებიც დაიღუპნენ, თან მნიშვნელობა არ აქვს, „მხედრიონელები“ იქნებიან თუ სხვა შენაერთის ბიჭები, აფხაზეთში უამრავი ადამიანი ერთად იბრძოდა. სამწუხაროდ, „მხედრიონში“ მყოფი „უნსოს“ ბიჭების უმრავლესობა დაიღუპა. მოგეხსენებათ, ექვსი მათგანის გვარი გმირთა მოედანზე, დაღუპულთა მემორიალზეა ამოტვიფრული, ერთის საფლავი კი სოხუმშია. „უნსო“ მრავალათასიანი ორგანიზაციაა, რომელიც მემარჯვენე სექტორში ერთიანდება. მისი ხელმძღვანელი კი იარუშია, რომელსაც უკრაინაში პირისპირ შევხვდი.

**— უკრაინაში მაინც რა მიზნით და ვისთან ერთად გაემგზავრეთ?**

— უკრაინაში ჟურნალისტ გოგა ჭყონიასა და ოპერატორ ბადრისთან ერთად ჩავფრინდი, რომლის გვარიც, სამწუხაროდ, არ მახსოვს. „უნსოს“ ბიჭები აეროპორტში სამხედრო პატივით დამხვდნენ, შემდეგ კი, მაიდანზე ის ადგილები მოვინახულეთ, სადაც სისხლიანი იანუკოვიჩის ბერკუტმა და რუსმა სნაიპერებმა თავისუფლებისთვის მებრძოლი ბიჭები ჩახოცეს. პატივი მივაგეთ იმ დაღუპულთა ხსოვნასაც, რომლებიც აფხაზეთში იბრძოდნენ. რაც მთავარია, უკრაინაში საკმაოდ მყარი პოზიცია დავტოვეთ — უკრაინელი ხალხი უკრაინის ერთიანობისთვის ბრძოლას სისხლის ბოლო წვეთამდე აპირებს. მართალია, იქ სეპარატისტული გამოსვლები შეიმჩნევა, რომელიც პუტინისა და მისი სისხლიანი ჯარის დასაყრდენია, მაგრამ უკრაინელები სამშობლოს ტერიტორიული ერთიანობის დასაცავად მზად არიან. ჩვენი ვიზიტი იმ დროს დაემთხვა, როცა იქ მობილიზაცია გამოცხადდა, სწორედ მაშინ გავიდა ევრომაიდანზე გარდაცვლილი ქართველის, დავით ყიფიანის დაღუპვიდან მეცხრე დღეც. მასაც პატივი სათანადოდ მივაგეთ... მაიდანზე როიალი დგას, რომელზეც „თბილისო“ დავუკარი. სიმღერას უკრაინელები ოვაციებით შეხვდნენ.

**— ჩვენი ინფორმაციით, „მხედრიონელების“ მობილიზება ნაციონალური მოძრაობის დავალებით დაიწყეთ!**

— ნაციონალურ მოძრაობასთან რა საქმე მაქვს?! ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარვყოფ! რა შუაშია დოდო გუგეშაშვილი და ნაციონალები ერთმანეთთან? უცნაურია... როცა უკრაინელები ქართველებთან ერთად იბრძოდნენ, მათი დევიზი იყო — „თუ ჩვენ რუსეთს გუმისთაზე არ გავაჩერებთ, მათი შეჩერება დნეპრზე მოგვიწევს!“ სამწუხაროდ, მათი წინასწარმეტყველება ახდა...

# არასაპარლამენტო ოპოზიცია მერობის ერთიან კანდიდატს მარტის ბოლოს დაასახელებს?

## ფიქრია ჩიხრაძე: „ცუდია, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ადამიანები პოზიციებს რადიკალურად იცვლიან“

რუსუდან შელია
557-100-768

**დიდი ხანია, არასაპარლამენტო ოპოზიცია თვითმმართველობის არჩევნებამდე შესაძლო გაერთიანებაზე საუბრობს, თუმცა მოლაპარაკებები ამ დრომდე არ დასრულებულა. ეს კი არა და, თბილისის მერის არჩევნებში სავარაუდო კანდიდატები — სალომე ზურაბიშვილი და ნინო ბურჯანაძე კენჭისყრაზე უარს აცხადებენ... „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე „ვერსიასთან“ წინასაარჩევნო პროცესებსა და საარჩევნო კოდექსში შესულ ცვლილებებს აფასებს.**




— არასაპარლამენტო პარტიებთან კონსულტაციების პროცესი მართლაც მიმდინარეობს, ამ მიმართულებით ჩვენც აქტიურად ვმუშაობთ, თუმცა ვიდრე მოლაპარაკებებში გარკვეული კონტურები არ გამოიკვეთება, დეტალების გამხელისგან თავს შევიკავებ. რაც მთავარია, პოლიტიკური ძალები ვაცნობიერებთ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის გაერთიანებისკენ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ორპარტიულ რეჟიმში კომფორტულ მუშაობას კიდევ დიდხანს გააგრძელებენ. მართალია, ისინი ბევრს კამათობენ და ჩხუბობენ, მაგრამ ორივე ძალას არსებული ვითარება აწყობს: ხელისუფლება მუდმივად აპელირებს, ვის აკრიტიკებთ, როცა ცხრა წელიწადი უბედურებებს სჩადიოდითო. ნაციონალურ მოძრაობას კი ე.წ. მთავარი ოპოზიციის სტატუსი გარანტირებული აქვს.

— **ოპოზიციის ძირითადი პრობლემა ყოველთვის საერთო კანდიდატზე შეუთანხმებლობა იყო. ამ მიზეზით დაშლილი ალიანსებიც გვინახავს. არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელს ახლაც იგივე პრობლემა ხომ არ გაქვთ?**

— მთავარია, შეთანხმების აუცილებლობას პოლიტიკური ძალები სრულად ვაცნობიერებთ და იმედი მაქვს, მცირე დეტალები პროცესის წარმატებით დასრულებისთვის ხელშემშლელი ფაქტორი არ გახდება. ამ მიმართულებით საბოლოო პოზიცია, მაქსიმუმ, მარტის ბოლომდე გვექნება, რადგან შემდეგ აქტიურ საარჩევნო კამპანიაში უნდა ჩავერთოთ. საერთოდ, ადგილობრივი არჩევნები ორგანიზაციულად საკმაოდ რთულია, მასში უამრავი სტრუქტურაა ჩართული და მეტი ადამიანური რესურსის მობილიზებაა საჭირო. ამიტომაც ვამბობ, რომ კონკურენტუნარიანი კადრების შერჩევა აუცილებელია. რაც შეეხება საერთო კანდიდატს, თუ კოალიციური სტრუქტურა ჩამოყალიბდება, ბუნებრივია, საერთო კანდიდატზეც შევთანხმდებით. ვნახოთ, იმედი მაქვს, გაერთიანება გამოგვივა, სხვა შემთხვევაში, არასაპარლამენტო ოპოზიციას „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობისთვის კონკურენციის გაწევა გაუჭირდება.

— **დამისახელეთ სავარაუდო კანდიდატები, რომლებსაც არასაპარლამენტო ოპოზიცია კონკურენტუნარიანად მიიჩნევს და რომლებიც სახელისუფლო პარტიების კანდიდატს დაამარცხებენ? ცნობილია, რომ ნინო ბურჯანაძე და სალომე ზურაბიშვილი არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ.**

— კანდიდატებს ვერ ჩამოვთვლი, რადგან ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, არჩევნებამდე როგორი კონფიგურაცია ჩამოყალიბდება. პირადად მე, თბილისის მერის არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას სიამოვნებით განვიხილავდი, მაგრამ, სამწუხაროდ, არჩევნებში პერსონალურად ჩართვას არ აპირებს.

— **ამასობაში, არენაზე „ახალი“ მოთამაშეები ჩნდებიან. პოლიტიკაში დაბრუნებული ირაკლი ოქრუაშვილი თქვენ გეგმებში ცვლილებებს გამოიწვევს?**

— ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება არაფერს შეცვლის. მასთან თანამშრომლობა, არ მგონია, მომავალშიც შედგეს. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებები იყო, რომელიც რამდენიმე დღის წინ პარლამენტმა დაამტკიცა. მართალია, ხელისუფლებამ ოპოზიციის მოთხოვნები მცირე დოზით გაითვალისწინა, მაგრამ თავის დროზე, ნაციონალური მოძრაობაც რაღაცებს თმობდა. კარგად მახსოვს, როცა ნაციონალები გარკვეულ საკითხებზე დავითანხმეთ, მაშინ ის ადამიანები, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან, მწვავედ გვაკრიტიკებდნენ, ახლა კი, ყველაფერი ის გაუძვირფასდათ, რაც ნაციონალური მოძრაობისგან მემკვიდრეობით მიიღეს და არაფრის დათმობა აღარ უნდათ.

— **არჩევნებში 50%-იანი ბარიერი ხომ დამტკიცდა, რომელსაც ოპოზიცია აქტიურად ითხოვდა?**

— დიახ, ერთადერთი თვალსაჩინო პოზიტივი 50%-იანი ბარიერია, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ისეთი ცვლილებები მოაყოლეს, რომელიც 50%-იან ბარიერს აზრს უკარგავს. კერძოდ, ინტეფრაქციულ ჯგუფში, ყოველგვარი განხილვის გარეშე, ბოლო მომენტში, მმართველმა გუნდმა კოდექსში ცვლილება შეიტანა, რომლის მიხედვითაც, მერისა და გამგებლის არჩევნებში მონაწილე პირებს პროპორციულ სიაში ყოფნის უფლება არ აქვთ. ამ დროს კი, პარლამენტის წევრს, რომელიც მოქმედი პირია, უფლება აქვს, მანდატზე უარის თქმის გარეშე გამგებლის არჩევნებში კენჭი იყაროს. უამრავ ადამიანს გაუჩნდება დილემა, რომელი სჯობს — კენჭი საკრებულოში იყაროს თუ რისკზე წავიდეს.

— **ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია ორ გავლენიან პოლიტიკოსს ვერ პოულობს, რომელთაგან ერთი მერობის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, მეორე კი საკრებულოში იყრის კენჭს?**

— როცა გარკვეულ თანამდებობაზე ერთი ადამიანი რჩება, იქ წაგება-მოგების რისკი ყოველთვის დიდია, თან იმ შემთხვევაში თუ ოპოზიცია გაიმარჯვებს, კოდექსში დამცავი მექანიზმიც შეიმუშავეს. კერძოდ, საკრებულოს უფლება აქვს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მისთვის არასასურველი ფიგურა თანამდებობიდან გადააყენოს. სწორედ ამ ცვლილებებმა 50%-იან ბარიერს აზრი დაუკარგა. მცირე ცვლილებები კოდექსში მართლაც განხორციელდა. თუ კვალიფიციური სუბიექტების წარმომადგენლები საარჩევნო ბლოკს შექმნიან, მათ დაფინანსებაც ეზრდებათ, მაგრამ ჯამურად რომ დავიანგარიშოთ, იგივე ცვლილებების მიხედვით, „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ყულაბაში წარმოუდგენლად დიდი თანხა გროვდება, არასაპარლამენტო ოპოზიცია კი ბევრად ნაკლებ თანხას იღებს.

— **მმართველი გუნდიც სწორედ მსგავსი პოზიციის გამო ხომ არ საუბრობს, რომ ოპოზიცია მეტი ფულის მიღების მიზნით ედავება?**

— ფინანსურ საკითხებზე ჩვენ მოთხოვნებში საუბარი საერთოდ არ ყოფილა. მაგალითად, არჩევნების შემდგომ კომპენსაციაზე როცა დაიწყო საუბარი, გვითხრეს, არჩევნების შემდეგ ნახევარი მილიონის ხარჯს ავანაზღაურებთო. არადა. ეს ის თემაა, რომელზეც საპარლამენტო არჩევნების წინ გვედავებოდნენ, ნაციონალურ მოძრაობას ხარჯების კომპენსაციისთვის მილიონი ლარი რატომ მოსთხოვეთო. ცნობისთვის: აღნიშნული მილიონი ლარი არჩევნების შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო. რა თქმა უნდა, შემოთავაზება ცუდი არ არის, მაგრამ არჩევნებამდე ეს თანხა არაფერში გვადგება, რადგან ფიზიკურად არ არსებობს. ფინანსურად არათანაბარ მდგომარეობაში ვართ ბიზნესისგან დაფინანსების კუთხითაც. მიუხედავად იმისა, რომ ღია ბიზნესტერორი ქვეყანაში არ ფიქსირდება, არც ერთ ბიზნესმენს ოპოზიციისკენ გახედვაც კი ღიად არ მოუნდება. ფინანსური საკითხის გარდა, მნიშვნელოვანია ერთმანდატიანი ოლქებიც, რომლებსაც ოპოზიციაში ყოფნისას „ქართული ოცნების“ წევრებიც აქტიურად ითხოვდნენ. მახსოვს, ამ მოთხოვნით პარლამენტის წინ ვშიმშილობდით. მაინტერესებს, თუ ეს საკითხი დღეს მმართველი გუდისთვის მნიშვნელოვანი არაა, მაშინ თავს რატომ ვიკლავდით? მახსოვს, ზვიად ძიძიგური, რომელიც ამ მოთხოვნის გამო შიმშილობდა, სასწრაფო დახმარების მანქანამდე გულწასული მივაცილე. ცუდია, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ადამიანები პოზიციებს რადიკალურად იცვლიან.




## გიორგი ონიანმა ვაზისუბნის მაჟორიტარობა საბოლოოდ გადაწყვიტა

ბაჩო ახალაიას ადვოკატი გიორგი ონიანი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის სახელით მიიღებს მონაწილეობას. როგორც ონიანი Facebook-ის საკუთარ გვერდზე წერს, ვაზისუბნის მაჟორიტარი დეპუტატობისთვის იბრძოლებს.

**„საბოლოოდ გადავწყვიტე, 2014 წლის ივნისში მივიღებ მონაწილეობას თვითმმართველობის არჩევნებში, ვაზისუბნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად, ნაციონალური მოძრობის მხრიდან. მანამდე, რა თქმა უნდა, მივიღებ მონაწილეობას პრაიმერიზში და იმედი მაქვს, მივიღებ იმ რაოდენობის მხარდაჭერას, რაც საჭირო იქნება გასამარჯვებლად. თუ ვინმეს ეგონა უმრავლესობაში, რომ ჩემი დაკავება შეცვლიდა აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მწარედ შეცდნენ. ბრძოლა ბოლომდე!“** — წერს გიორგი ონიანი.

გიორგი ონიანი ორ საქმეზეა ბრალდებული. შს მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილის მიმართ წაყენებული ორივე ბრალდება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, სამსახურებრივ სიყალბესა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ მტკიცებულებების ფალსიფიკაციას, ასევე განზრახ უკანონო დაკავების ფაქტს ითვალისწინებს.

***„ინტერპრესნიუსი“***



## მეუფე დანიელი: „როცა ბოროტი ძალა ეკლესიას ვერ ერევა, ცდილობს, ეკლესიის შიგნით მცდარი სწავლება შეიტანოს“

**„ღვთისგან მოცემული ცოდნა ღვთის, სამყაროს და ადამიანის შესახებ არ შეიცვლება და ვერავითარი ძალა მას ვერ შეცვლის“,** — ამის შესახებ ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა სამების საკათედრო ტაძარში, საკვირაო ქადაგებისას ბრძანა. მეუფემ ქადაგება მართლმადიდებლობის ზეიმის მნიშვნელობაზე საუბრით დაიწყო. დღესასწაული VII მსოფლიო საეკლესიო კრების შემდგომ დაწესდა.

**„VII მსოფლიო საეკლესიო კრება იყო ხატთმებრძოლობის, მწვალებლობის საწინააღმდეგოდ. ამ კრებამ კიდევ ერთხელ დაამოწმა, რომ ხატის თაყვანისცემა, ესაა ღვთისგან დადგენილი ჭეშმარიტი მსახურება იმ წმინდანებისა და უფლისა, რომელნიც გამოსახული არიან ხატებზე. იყო კიდევ ერთი მცდელობა ბოროტი სულისა, რომ ეკლესიაში, რომელშიც ყველაფერი ხდება ღვთის გამოცხადების საფუძველზე, შესულიყო ცვლილება და ადამიანს, თავისი ადამიანური გონებით, ღვთის ნება და ღვთაებრივი სწავლება დაერღვია. ეს არ მოხდა. ეკლესიამ ცდომილება ამხილა და ამის შემდგომ დაადგინა დღესასწაული, რომელსაც მართლმადიდებლობის ზეიმს ვუწოდებთ. დღესასწაული გულისხმობს, რომ ღვთისგან მოცემული ჭეშმარიტი სარწმუნოება, ცოდნა ღვთის, სამყაროსა და ადამიანის შესახებ, უფლის დახმარებით, არ იქნება შეცვლილი, არ იქნება შერყვნილი, ვერავითარი ძალა მას ვერ შეცვლის. ყოველთვის დედამიწაზე, ვიდრე მეორე მოსვლამდე, ადამიანებს ექნებათ გეზი, გზა – ღვთისკენ მიმავალი, უცდომელი, რომელიც მიიყვანს ღმერთთან, რომელიც არ იქნება გამრუდებული“,** – ბრძანა მეუფე დანიელმა.

მან აქვე აღნიშნა, რომ „ამ ჭეშმარიტ გზას, ჭეშმარიტ სწავლებასა და მის სიწმინდეს ეკლესია იცავს“.

***„ინტერპრესნიუსი“***

# დიმიტრი შაშკინს ბინძურ გარიგებაში ამხელენ

## ვინ მფარველობს განათლების ექსმინისტრის ინგლისური ენის სახელმძღვანელოების ბიზნესს ახალ ხელისუფლებაში და რატომ მიდის კვალი რუსეთამდე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოში ინგლისური ენის სახელმძღვანელოების შემომტანი კომპანია „კავკასიის აკადემიური ცენტრი“ განათლებისა და მეცნიერების ყოფილ მინისტრს, დიმიტრი შაშკინს ბრალს პირადი ინტერესების ლობირებაში სდებს — 2011 წელს, ექსმინისტრმა ინგლისური ენის სახელმძღვანელოებს გრიფი კანონსაწინააღმდეგოდ მიანიჭა, რის შედეგადაც, „მაკმილანის“ გამომცემლობა და მისი პარტნიორი „ინგლისური წიგნი საქართველოში“, სახელმძღვანელოების ბაზრის მონოპოლისტი გახდა. ერთადერთი კონკურენტი კომპანიის, „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ დამფუძნებლები კი ხმაურიანი სპეცოპერაციით დააპატიმრეს და ციხეში ერთი წელი გაატარეს. ბიზნესმენების განცხადებით, კუდ-მა ისინი იმიტომ დააპატიმრა, გრიფირების კონკურსს ჩამოშორებოდნენ. 2012 წელს, „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ დამფუძნებლებმა იურისტებს მიმართეს და საქართველოს მთავარ პროკურატურაში სარჩელი შეიტანეს.**



დაზარალებული ბიზნესმენი დავით ცეცხლაძე

### სახელმძღვანელოების სკანდალის პრეისტორია

„მაკმილანის“ სახელმძღვანელო ერთადერთია, რომლითაც საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინგლისურ ენას ასწავლიან. მშობელთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს სახელმძღვანელო არცთუ ხარისხიანია — ბავშვებს მასალის დაძლევა, განსაკუთრებით, საწყის ეტაპზე უჭირთ. მართალია, სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსი 2011 წელს გამოცხადდა, რომელშიც „მაკმილანის“ გამომცემლობამ გაიმარჯვა, მაგრამ ქართველი გამომცემლების განცხადებით, ამ კონკურსს განათლების სამინისტროსა და „მაკმილანს“ შორის გაფორმებული მემორანდუმი უსწრებდა, რომელიც სამინისტროს საიტზე არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად, მისი შინაარსი დღემდე უცნობია. ქართველ გამომცემელთა თქმით, მემორანდუმით, „მაკმილანი“ კონკურსის ერთადერთი გამარჯვებული უნდა ყოფილიყო და მისი შინაარსიც, სავარაუდოდ, სწორედ ამიტომაა გასაიდუმლოებული.

2011 წელს, ინგლისური ენის სახელმძღვანელოების გრიფირებაზე გამოცხადებულ კონკურსს, გასაიდუმლოებული შინაარსის მემორანდუმის გარდა, ამ სფეროში მოღვაწე ბიზნესმენების ხმაურიანი დაკავების სპეცოპერაციაც უსწრებდა. კუდ-ის ყოფილი უფროსი სოსო თოფურიძე აცხადებდა, რომ ქრთამის მიცემის ფაქტზე „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ დამფუძნებლები — დავით ცეცხლაძე და ნიკოლოზ ბაქარაშვილი დააკავეს, რომლებმაც მათ მიერ წარდგენილი ინგლისური ენის სახელმძღვანელოებისთვის გრიფის მინიჭების სანაცვლოდ, განათლების სამინისტროს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს 50 000 აშშ დოლარი შესთავაზეს.

2011 წელს გამოცხადებულ კონკურსში „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ დამფუძნებლები, მართლაც, მონაწილეობდნენ — კონკურსზე კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ინგლისური ენის სახელმძღვანელო წარადგინეს. დავით ცეცხლაძისა და ნიკოლოზ ბაქარაშვილის დაკავების დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიზნესმენებს სახელმძღვანელოების ჩამოტანა სწორედ განათლების სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, შაშკინის მრჩეველმა ფელიქს უბირიამ შესთავაზა. მეტიც, ფელიქს უბირია პირობას დებდა, რომ გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, მათ მიერ ჩამოტანილ სახელმძღვანელოებს გრიფს მიანიჭებდა. უბირიასა და ცეცხლაძეს შორის მოლაპარაკებები დიდხანს გაგრძელდა. პარალელურად, დავით ცეცხლაძე შაშკინის მოადგილეს, კოკა სეფერთელაძესაც შეხვდა, თუმცა ბიზნესმენები ამტკიცებენ, რომ თანხის სანაცვლოდ, გრიფის მიღებისთვის გარიგებას ადგილი არ ჰქონია. დავით ცეცხლაძემ ისიც კი მოახერხა, ყველა შეხვედრა ვიდეოფირზე გადაიღო, რაც სრულიად განსხვავდება იმ მასალისგან, რომელიც კუდ-მა ბიზნესმენების დაკავების დროს, ე.წ. ნაციონალური ტელევიზიების საშუალებით გაავრცელა.

„მაკმილანის“ გამომცემლობის საქართველოში ექსკლუზიური წარმომადგენელია კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“, რომლის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და 45%-იანი წილის მფლობელს, ბრიტანეთის მოქალაქე ლიზა ბრაუნს „მაკმილანთან“ მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებდა. ლიზა ბრაუნის კომპანია „ინგლისური წიგნები სერბეთში“ ამ ქვეყანაში „მაკმილანის“ ექსკლუზიური წარმომადგენელი და სერბეთში სახელმძღვანელოების ბაზრის მონოპოლისტია.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2012 წლის 17 ოქტომბერს, ლიზა ბრაუნმა კომპანიის — „ინგლისური წიგნი საქართველოში“ 45%-იანი წილი ამავე კომპანიის დირექტორსა და, ასევე, 45%-იანი წილის მფლობელს, მაია გურგენიძეს 500 000 ლარად მიყიდა, შემდეგ კი საქართველოდან გაემგზავრა. სხვათა შორის, ეს ის დროა, როდესაც ქვეყანა დიმიტრი შაშკინმაც დატოვა. მალევე, „მაკმილანის“ გამომცემლობა კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია: ბრიტანული პრესის ინფორმაციით, ამ გამომცემლობას 17 000 000 აშშ დოლარის ჯარიმა დაეკისრა, მიზეზი კი „მაკმილან ედუქეიშენის“ წარმომადგენლის მიერ სუდანში, სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვის, 100 სკოლის აშენებისა და 50 სკოლის მოდერნიზებისთვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების სანაცვლოდ გადახდილი ქრთამი იყო.

### სკანდალის სამართლებრივი ნაწილი

2011 წელს კუდ-ის მიერ დაკავებული ბიზნესმენები პატიმრობიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 2012 წელს გაათავისუფლეს. ახალი ხელისუფლების პირობებში, უკანონოდ დაკავებულმა ბიზნესმენებმა ადვოკატები დაიქირავეს და მთავარ პროკურატურაში სარჩელი შეიტანეს. რა ვითარებაა ამჟამად? დაიწყო თუ არა გამოძიება? დაკითხა თუ არა პროკურატურამ დიმიტრი შაშკინი, მისი ყოფილი მოადგილე კოკა სეფერთელაძე და ყოფილი მრჩეველი ფელიქს უბირია? „ვერსიას“ ბიზნესმენ დავით ცეცხლაძის ადვოკატი **ირაკლი კერესელიძე** ესაუბრება.

— სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დანაშაულის ჩამდენები იმდენად ღიად და თავხედურად მოქმედებდნენ, რომ აშკარა კვალი დატოვეს. შაშკინმა, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, დავით ცეცხლაძის ბიზნესი ხელში ყაჩაღური გზით ჩაიგდო. ყაჩაღობა მხოლოდ იარაღის გამოყენებას არ ნიშნავს, ბევრად ცინიკური, გამაღიზიანებელი და უსამართლოა ის ფორმა, რომლითაც შაშკინი და მისი ბანდა ჩვენს კომპანიას მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება სასამართლო ეტაპზე არ გადასულა და ჯერ არც გამამტყუნებელი განაჩენი დამდგარა, როგორც გითხარით, დანაშაულის კვალი იმდენად ნათელია, მე, როგორც იურისტი, ამ ტიპის შეფასებას არ მოვერიდები. შაშკინმა, რომელიც იმ პერიოდში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი იყო, თავის ქმედებით ხელი ბაზრის სრულ მონოპოლიზებას შეუწყო: საკუთარი კომერციული და მერკანტილური ინტერესიდან გამომდინარე, პირდაპირი თავდასხმა განახორციელა ბიზნესზე, ჩვენი კომპანია ტენდერს ჩამოაცილა — დავით ცეცხლაძე და მისი პარტნიორი ცრუ ბრალდებების საფუძველზე დააპატიმრეს. კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“, რომელიც საქართველოში „მაკმილანს“ წარმოადგენს, რეალურად მარიონეტია შაშკინის ხელში და ამის მტკიცებულებებიც მაქვს. ამ კომპანიას ფორმალური მფლობელები ჰყავს, მოდერაციას კი შაშკინის მეუღლე უწევს და, შესაბამისად, ფინანსური ნაკადებიც მათ ხელშია.

რაც შეეხება ამ საქმის სამართლებრივ ნაწილს, მას შემდეგ, რაც დავით ცეცხლაძემ მთავარ პროკურატურას სარჩელით მიმართა, პროკურატურის რამდენიმე თანამშრომელმა პირად საუბარში მითხრა, რომ საქმის საგამოძიებო ნაწილი დასრულდა. არადა, საქმე სასამართლოში გადაგზავნილი არ არის და ეჭვი მაქვს, ამ საქმის გაჭიანურება პოლიტიკურ ნებას უკავშირდება. სხვაგვარად, რას ნიშნავს გამოძიების დასრულება, გაუგებარია, რადგან თუ გამოძიება დასრულდა, ესე იგი, კონკრეტული დანაშაულის გარშემო მტკიცებულებები უკვე შეკრებილია და საქმე სასამართლოს უნდა გადაეცეს, რათა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

**— თქვენი ინფორმაციით, დიმიტრი შაშკინი, კოკა სეფერთელაძე და ფელიქს უბირია დაკითხეს?**

— გამოძიებამ უნდა მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება და სტატუსი, ამ შემთხვევაში, დაზარალებულის სტატუსი უნდა მოგვანიჭოს. სამწუხაროდ, დღემდე არ გვაქვს ეს სტატუსი და შესაბამისად, არც უფლება, რომ გამოძიებაში საფუძვლიანად ჩავიხედოთ და გავიგოთ, დაიკითხა თუ არა შაშკინი ან ვინმე სხვა. აი, აქ არის საკმაოდ სერიოზული პრობლემები და სწორედ აქ მიჩნდება მწვავე კითხვები გამოძიებასთან, მაგალითად: რატომ არ გვანიჭებენ დაზარალებულის სტატუსს? დარწმუნებული ვარ, პროკურატურა ეფექტურ გამოძიებას არ აწარმოებს, რადგან ძიება გონივრულ ვადას სცდება.

**— სამართლიანობის აღდგენის მოტივით, პროკურატურაში უამრავი საქმე დაგროვდა და გამოძიების გაჭიანურების მიზეზი, ალბათ ესაა, მაგრამ, თუ გამოძიება უკვე დასრულდა, აბა, რაღა პრობლემაა, მაინც რას ეჭვობთ?**

— ამაზე საუბარი ჯერ არ მინდა, მაგრამ ფაქტია, არც წინასასამართლო სხდომა ჩატარებულა, არც ბრალდებულები გამოკვეთილა და მათ მიმართ არც აღმკვეთ ღონისძიებებზე ყოფილა მსჯელობა. ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმე არაგონივრულად იწელება, არადა ახლა ვსაუბრობთ არა დასრულებულ, არამედ განგრძობად დანაშაულზე. სამწუხაროდ, ეს დანაშაული ახლაც გრძელდება, რადგან დიმიტრი შაშკინის შვილობილი კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“ საქმიანობას კვლავ დანაშაულებრივად აგრძელებს. მინდა, მივმართო პროკურატურას, თუ საქმის სირთულის გამო, ძიებას დროულად ვერ წარმართავს, ამ პროცესში აქტიურად ჩართოს შსს და გამოიყენოს მისი რესურსი, როგორც ოპერატიული, ასევე საგამოძიებო კუთხით.

### რუსეთის ისტორია და კულტურა ინგლისურად

დავით ცეცხლაძე დღემდე დაჟინებით ითხოვს იმ მემორანდუმის შინაარსის გასაჯაროებას, რომელიც განათლების სამინისტროსა და „მაკმილანის“ გამომცემლობას შორის 2011 წელს გაფორმდა. ცეცხლაძე ამბობს, რომ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით, მემორანდუმის შინაარსი მისთვის ცნობილია და მასში უამრავი დარღვევაა — ის მუხლებიც არ სრულდება, რომელიც მემორანდუმშია ჩადებული. მაგალითად, მემორანდუმის მიხედვით, „მაკმილანის“ გამომცემლობა ვალდებული იყო, საქართველოს მასშტაბით, ინგლისური ენის 4 200 პედაგოგი გადამზადებულიყო, რაც არ შესრულებულა. „ვერსიას“ „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ დამფუძნებელი ბიზნესმენი **დავით ცეცხლაძე** ესაუბრა.

**— ბატონო დავით, „მაკმილანის“ შუამავალი კომპანია „ინგლისური წიგნები სერბეთში“ სერბეთის ბაზრის მონოპოლისტია, გარდა ამისა, ინგლისური პრესის ინფორმაციით, „მაკმილანის“ გამომცემლობა სუდანში კორუფციის სკანდალში გაეხვია... რატომ იქცა ასეთი საეჭვო კომპანია საქართველოს ბაზრის მონოპოლისტად?**

— როდესაც ბინძური გარიგება უნდა განახორციელო, მაღალი სტანდარტებისა და მორალის მქონე კომპანია ამაზე არ წამოგყვება. შაშკინი სხვა ისეთ კომპანიას ვერ შეარჩევდა, რომელიც დათანხმდებოდა და საქართველოს ბაზარზე რუსეთის ბაზრისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებს შემოიტანდა. „მაკმილანის“ გამომცემლობა ძალიან ბევრ სკანდალში იყო გახვეული, რაც კორუფციულ გარიგებებს უკავშირდებოდა, სერბეთისა და სუდანის გარდა, ეს კომპანია ანალოგიურად იქცეოდა განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზეც. შესაბამისად, მათთან გარიგება საკმაოდ მარტივი იქნებოდა, რადგან წარმოიდგინეთ, განათლების მინისტრი პირადად ჩადის ამ გამომცემლობის წარმომადგენლებთან და ეუბნება, რომ შეუძლია, თავის ქვეყნის მრავალათასიანი სასკოლო ბაზარი ექსკლუზიურად დაუთმოს. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა ლიზა ბრაუნი, რომელიც შაშკინმა გამოიყენა. მართალია, ბრაუნი კომპანიის — „ინგლისური წიგნი საქართველოში“ ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, იგი ამ კომპანიიდან გააძევეს.

*დასასრული მე-7 გვერდზე*

# „ნაცოცნებური“ ალებ-მიცემობა გარდაბანში — „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ ნაციონალი ინიშნება



„კალაძესთან ერთად რესტორანში ვიყავით. იქ ამბაკომ გამიწია რეკომენდაცია კახასთან... მთავარია, საჭირო დროს, საჭირო კაცთან აღმოჩნდი და კალაძეს უარს ვინ გაუბედავს!“



გიორგი იაშვილი

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, რეგიონებში პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა იწევს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ბევრგან ეს ამბავი კარგად არ დამთავრდება. მოგეხსენებათ, საარჩევნოდ ერთ-ერთი რთული რეგიონი ქვემო ქართლია და ამომრჩევლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფრთხილი მიდგომაა საჭირო. დღეს გარდაბანზე მოგახსენებთ. გარდაბნის რაიონი საქართველოში ერთადერთი გახლდათ, რომლის საკრებულოშიც 29-ვე (10 პროპორციული სიით და 19 მაჟორიტარი) დეპუტატი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი იყო. ნაციონალების პოლიტიკური გემი ფსკერისკენ როცა დაეშვა, 29 დეპუტატიდან 26-მა „ქართული ოცნების“ ნავში ისკუპა და ახლა ნიჩაბს ისე ჩაებღაუჭა, ხელის გაშვებას არც ახლა, არჩევნების წინ აპირებს...**

გარდაბნის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ონიანი გახლავთ, რომელიც ზედიზედ ორი მოწვევის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის სიის მეხუთე ნომერი იყო. რას ნიშნავდა ნაციონალთა სიაში მეხუთენომრობა, კარგად მოგეხსენებათ. როგორც კი ნაციონალურ მოძრაობას წყალი შეუდგა, ონიანი ამ პარტიიდან წავიდა და „ქართული ოცნების“ წევრი გახდა, „ზემოთ“ კი შეუთვალა, ახლა თქვენს ერთგულებაზე დავიფიცებ, რა პრობლემააო. მოსახლეობამ ეს გადაყლაპა, რადგან თვითმმართველობის არჩევნები შორს არ იყო და სჯეროდა, 2014 წელს ონიანი და მისი საძმო გარდაბანს მოშორდებოდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად — ისევ საკრებულოში აპირებს შესვლას და გარდა იმისა, რომ სიის პირველნომრობა სურს, გარდაბანში, „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეობასაც უმიზნებს.

სხვათა შორის, თავის დროზე, ონიანმა მოსახლეობა იმით გააჩერა, რომ ხმამაღლა განაცხადა, თავი დამანებეთ, ირაკლი ღარიბაშვილის ჯგუფელი ვარ და მისი კადრი გახლავართო. მერე გაირკვა, რომ ონიანს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ გამოსავალი აქაც იპოვა და აღნიშნა, ჩემი ძმები არიან ღარიბაშვილის ჯგუფელები და შემეშვითო.

ამ ამბავს ერთი საინტერესო ისტორია უძღვოდა: რაიონში „ქართული ოცნების“ ყოფილი თავმჯდომარე ამბაკო ავალიანი ონიანთან, როგორც ნაციონალების „მამასთან“ დაპირისპირებული იყო. იანვარში ავალიანი მოულოდნელად თავმჯდომარეობიდან გადადგა, გამგებლის მესამე მოადგილედ დაინიშნა და იმ საკრებულოს გადაწყვეტილებით, რომელსაც ონიანი თავმჯდომარეობს, ახალთახალი მანქანაც მიიღო. მალევე ონიანი და ავალიანი მტრებიდან განუყრელ მეგობრებად იქცნენ და მშვიდად გააგრძელეს კოჰაბიტაცია. მათი იდილია ერთადერთხელ დაირღვა, როცა ასევე ნაციონალმა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, ჯანო დადეშქელიანმა რაიონის გამგებლობა გადაწყვიტა და ეს იმით ახსნა, თეა წულუკიანის მამიდაშვილი ვარ და მეკუთვნისო, თუმცა წულუკიანმა დადეშქელიანთან არათუ ნათესაობა, არამედ, ნაცნობობაც უარყო. ამან ჯანოს ამბიციები შეასუსტა, თუმცა შემდეგ, ონიანს მიეჭრა და, როგორც ავალიანი დანიშნე მოადგილედ, მეც ისე დამნიშნეო. წესითა და რიგით, გარდაბნის გამგებელს ორი მოადგილე უნდა ჰყავდეს, თუმცა მესამე მოადგილის შტატი იანვარში დაუშვეს და, როგორც გითხარით, აქამდე უპრეცედენტო თანამდებობაზე ავალიანი დაინიშნა, ჯანოს კი მოადგილეობა არ ეღირსა, თუმცა...

6 მარტს გარდაბანში საინტერესო ამბავი მოხდა: როგორც ონიანის გარემოცვა ამტკიცებს, რაიონში ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე იმყოფებოდა, რომელიც ონიანს შეხვდა და თქვა, გარდაბნის ამჟამინდელი გამგებელი ნუგზარ ჩადუნელი ორშაბათიდან თავისუფალიაო. გამოთავისუფლებულ ადგილზე პრეტენზია უკვე რამდენიმეს აქვს, მაგრამ არა ონიანს — მას „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა და, შესაბამისად, არჩევნებზე სიის პირველნომრობა სურს.

— კალაძესთან ერთად რესტორანში ვიყავით. იქ იყო გუბერნატორი და ამბაკოც. სწორედ ამბაკომ გამიწია რეკომენდაცია კახასთან, ასე უთხრა, ჩვენი ძმააო და რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ მნიშნავენ, მთავარია, საჭირო დროს, საჭირო კაცთან აღმოჩნდი და კალაძეს უარს ვინ გაუბედავს, — აცხადებს ონიანი მეგობრების წრეში და გარდაბნელებიც, პრაქტიკულად, კატასტროფის მოლოდინში არიან.

როგორც გარდაბნელებმა გვითხრეს, თუ ონიანი კალაძეს მართლა გაურიგდა და ის საკრებულოში შესვლას „ქართული ოცნების“ სახელით დააპირებს, რაიონისთვის აქამდე უპრეცედენტო აქციებს გამართავენ. აქ უპრიანი ონიანის კომენტარიც იქნებოდა, მაგრამ ჟურნალისტების სატელეფონო ზარებს არ პასუხობს და თუ შემთხვევით უპასუხა, მოუცლელობის საბაბით, კომენტარზე მუდმივად უარს აცხადებს. შესაბამისად, შედგა თუ არა საიდუმლო სერობა რესტორანში და გადაწყდა თუ არა 8 წლის განმავლობაში ნაციონალების ლიდერისა და ჯილას, ზაზა ონიანის „გაოცნებება“, მალე გაირკვევა. „ქართული ოცნების“ გარდაბნის რაიონულ ორგანიზაციას თავმჯდომარე, წესით, მომავალ კვირას უნდა დაუნიშნონ.

**P.S. კახა კალაძის ვიზიტს, ონიანსა და ავალიანთან შეხვედრასა და თანამდებობიდან წასვლას, ჩვენი ინფორმაციით, გარდაბნის ჯერჯერობით მოქმედი გამგებელი ნუგზარ ჩადუნელი არ უარყოფს.**

სკანდალი

# დიმიტრი შაშკინს ბინძურ გარიგებაში ამხელენ

*მე-6 გვერდიდან*

ძალიან უცნაური იყო, როდესაც ლიზა ბრაუნმა ოფისში დაგვირეკა და გვიამბო, როგორ დაგეგმა შაშკინმა ასეთი ბინძური თამაში. მას ეგონა, „მაკმილანის“ გამომცემლობა ერთადერთი კი არა, ერთ-ერთი იქნებოდა საქართველოს სახელმძღვანელოების ბაზარზე. ერთი წლის შემდეგ, ლიზა ბრაუნს კომპანიის დატოვება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრნენ, რომ პრობლემებს შეუქმნიდნენ. საუბრის ბოლოს, ბრაუნმა ისიც გვითხრა, რომ დიდი სიამოვნებით ითანამშრომლებს საქართველოს მთავარ პროკურატურასთან, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ჯერ არ დაუკითხავთ. ვფიქრობ, პროკურატურა ცდილობს, ეს საქმე არ დაასრულოს და ბოლომდე არ გამოიძიოს. ამასთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაცია მაქვს, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავს შევიკავებ, თუმცა გეტყვით, რომ სისხლის სამართლის საქმე შაშკინის მფარველების გადაწყვეტილებით ჭიანურდება და ეს მფარველები მთავარი პროკურატურისთვისაც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენენ.

**— ვინ არიან შაშკინის მფარველები, მთავარი პროკურატურის მოქმედი თანამშრომლები?**

— არა, ისინი ახალი ხელისუფლების საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები არიან, რომლებიც დიმიტრი შაშკინს მფარველობენ! ჩემთვის ეს ყველაფერი არა ვარაუდით, არამედ, ძალიან კონკრეტული ფაქტებითაა ცნობილი, გვარებითა და სახელებით ვიცი მათი ვინაობა, რომლებიც შაშკინსა და მის ბიზნესს მფარველობენ! თქვენი გაზეთის საშუალებით, მივმართავ პროკურატურას იმედით, რომ გამოძიებას უახლოეს დროში დაასრულებს. მზად ვარ, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია მივაწოდო კიდეც, სხვა შემთხვევაში, მომიწევს, ყველაფერი მედიის საშუალებით განვაცხადო.

**— პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ აცხადებდით, რომ „მაკმილანის“ გამომცემლობას რამდენიმემილიონიანი მოგება აქვს საქართველოში, რადგან ინგლისური ენის სახელმძღვანელოებს 25-30 ლარის ფარგლებში ყიდის. კონკრეტულად, რა მოგებაზეა საუბარი?**

— 2011-2012 წლებში, ეს მოგება, დაახლოებით, 15 000 000 ლარის ფარგლებში იქნებოდა, თუმცა შემდეგ წლებში ანუ ახალი ხელისუფლების პირობებში, მოგება სავარაუდოდ, 10 000 000 ლარზე მეტი არ იქნება. ამ მხრივ, ყველაზე მეტად საინტერესოა 2013-2014 წლები, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები მოსწავლეებისთვის უფასო ყოფილიყო. შესაბამისად, შეგვიძლია ვნახოთ, რა თანხა გადაუხადა სახელმწიფომ შაშკინის კომპანიას, რომ ჩვენი მოსწავლეებისთვის ინგლისური ენის სახელმძღვანელოები შეეძინა. სავარაუდოდ, სწორედ ეს თანხა იქნება ის მოგება, რომელიც კომპანიამ — „ინგლისური წიგნი საქართველოში“ 2013-2014 წლებში მიიღო.



This photograph shows Valentina in her spacesuit.

**— თქვენი აზრით, რატომ არ მოსწონს მშობლების დიდ ნაწილს „მაკმილანის“ ინგლისური ენის სახელმძღვანელოები?**

— განათლების ნებისმიერ ექსპერტს გაესაუბრეთ და ყველა დაგიდასტურებთ, რომ წიგნი, რომელსაც საქართველოს მოსწავლეები იყენებენ, სრულიად არ შეესაბამება ჩვენს ბაზარს. „მაკმილანის“ სახელმძღვანელო „ინგლიშ ვორლდ“ რუსეთის ბაზრისთვისაა განკუთვნილი, რადგან ამ სახელმძღვანელოში შეტანილი ტექსტები რუსეთის კულტურას, ტრადიციებს ეხება და გამოჩენილ რუს ადამიანებზე, მაგალითად, იური გაგარინზე მოგვითხრობს. ამ სახელმძღვანელოს 21-ვე ავტორი რუსია. ბუნებრივია, „მაკმილანის“ გამომცემლობას რუსეთის ბაზარზე საკმაოდ დიდი ტირაჟი ექნებოდა, შესაბამისად, „მაკმილანი“ შაშკინს ძალიან დაბალ თვითღირებულებას შესთავაზებდა, რათა მეტი მარჟა დარჩენოდა და ასე შემოიტანა საქართველოში რუსეთის ბაზრისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები. წიგნი, რომელიც საერთაშორისო ბაზრისთვისაა შექმნილი, შაშკინს ამ ფასს ვერ შესთავაზებდა და შესაბამისად, არც ასეთ ბინძურ გარიგებაში შევიდოდა, როდესაც განათლების მინისტრი, ყოველგვარი კონკურსის გარეშე, მიდის გამომცემელთან და ეუბნება, რომ ის მისი ქვეყნის ბაზრის ექსკლუზიური მომწოდებელი იქნება.

**P.S. „ვერსია“ საქართველოს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, თემურ დოლიძეს დაუკავშირდა და აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა. მისი თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით, პროკურატურის თანამშრომლები ინტენსიურად მუშაობენ, გამოძიება არ დასრულებულა და ამჟამადაც მიმდინარეობს.**

# სოზარ სუბარის აღიარება: „პატიმარ გიორგი ფარტენაძის მკვლელობის თავიდან აცილება შეიძლებოდა!“




მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**4 მარტს, 02:30 საათზე, გეგუთის მე-14 დაწესებულებაში, ექვსადგილიან საკანში, სადაც ხუთი მსჯავრდებული იმყოფებოდა, პატიმრებს შორის დაპირისპირება მოხდა, რაც ერთ-ერთი მსჯავრდებულის, გიორგი ფარტენაძის გარდაცვალებით დასრულდა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ოჯახს მიუსამძიმრა — დიმიტრი დარბაისელი ბათუმში ფარტენაძის ოჯახში იმყოფებოდა. „ეს იყო სამწუხარო შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს დაწესებულებაში. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მსგავსი ფაქტი აღარასოდეს განმეორდეს. ამ საქმეს პროკურატურა უკვე იძიებს და საქმეში გამავალი ყველა პირი უმკაცრესად დაისჯება“, — აცხადებს დარბაისელი.**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი **სოზარ სუბარი** „დაშვებულ შეცდომაზე“ საუბრობს და განმარტავს, რომ ტრაგედიის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო: **„დაშვებულია გარკვეული შეცდომები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაშიც, ალბათ, შეიძლებოდა ამ დანაშაულის თავიდან აცილება, დანაშაულისა, რომელიც დამთავრდა ტრაგედიით — ახალგაზრდა კაცის მკვლელობით... გეგუთის ციხის დირექტორი თანამდებობიდან გადადგა, მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე. პასუხისმგებლობა, სავარაუდოდ, დადგება და არაერთი ადამიანისა, ოღონდ არ გავუსწრებ გამოძიებას“.**

მინისტრის განმარტებით, მკვლელობა ისეთი საგნით მოხდა, რომლის ქონის უფლებაც პატიმრებს აქვთ. სუბარი არც იმას მალავს, რომ დაღუპული მსჯავრდებული საკანში განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებთან ერთად იყო მოთავსებული: **„ის მუხლი, რომლითაც იყო გასამართლებული, ძალიან მძიმეა, თუმცა მეორე საკითხია, რამდენად სწორად მიუსაჯა სასამართლომ“.**

სახალხო დამცველი, მსჯავრდებულის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, დროული და ეფექტური გამოძიების ჩატარებას აუცილებლად მიიჩნევს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს კი მოუწოდებს, გეგუთის მე-14 დაწესებულებაში პატიმართა პირადი უსაფრთხოების დასაცავად და ამგვარი ტრაგიკული შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, პრევენციული ღონისძიებები გაატაროს.

არასამთავრობო ორგანიზაციები, პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებენ და მომხდარზე გამოძიების ჩატარებას ითხოვენ. გარდა ამისა, ორგანიზაციების შეფასებით, უმნიშვნელოვანესია, დადგეს გეგუთის მე-14 დაწესებულების იმ თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებსაც შეეძლოთ, პატიმართა შორის დაპირისპირებაზე სათანადო რეაგირება მოეხდინათ და ინციდენტის ასეთი მძიმე შედეგით დასრულება თავიდან აეცილებინათ.

ამასთან, არასამთავრობოთა ალიანსი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მოუწოდებს, გაატარონ ყველა პრევენციული ღონისძიება, რომელიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სათანადო წესრიგსა და მსჯავრდებულთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. აღნიშნულ განცხადებას ხელს აწერენ: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ახალგაზრდა ადვოკატები, საქართველოს პროფესიონალ ფსიქოლოგთა ასოციაცია, ახალგაზრდები სამართლიანობისთვის, საზოგადოებრივი დამცველი, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში — თბილისი.

ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი **გელა ნიკოლაიშვილი** აცხადებს, რომ გეგუთის ციხეში პატიმრებს შორის ჩხუბს ჰქონდა ადგილი, რასაც პატიმრებიც ადასტურებენ:

**„უპირველესად, პასუხისმგებელი ისაა, ვინც ამ ჩხუბში მონაწილეობდა, მაგრამ პასუხისგების გარეშე არ უნდა დარჩნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც, რომლებსაც ევალებათ, ასეთი ფაქტები არ დაუშვან. ვფიქრობ, თუ ყოველი ასეთი შემთხვევა ბოლომდე გამოძიებული არ იქნება და ყველა დამნაშავე სათანადოდ არ დაისჯება, საშიშ ტენდენციას მივიღებთ და შეიძლება, მსგავსი შემთხვევები გახშირდეს“.**

მსგავსი ტრაგიკული ფაქტები რომ არ განმეორდეს, **გელა ნიკოლაიშვილის** თქმით, ერთის მხრივ, არსებული პირობები უნდა გაუმჯობესდეს და, მეორეს მხრივ, კონტროლი გამკაცრდეს: **„ამ ორი მიმართულებისკენ უნდა მიისწრაფვოდეს სასჯელაღსრულების სამინისტრო... გარკვეული რეფორმები დაგეგმილია, მაგალითად, პატიმრების დიფერენცირება მოხდება და ისინი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით განთავსდებიან. სხვადასხვა ტიპის შეზღუდვა იქნება — დაწყებული ნახევრადღია დაწესებულებებიდან, დახურული ობიექტებით დამთავრებული. სულ ოთხი ტიპის დაწესებულება იქნება, პატიმრები კი კონტინგენტის მიხედვით გადანაწილდებიან და არა ისე, როგორც დღეს — შეიძლება, ერთმანეთში იყოს არეული ციხეში პირველად, შემთხვევით მოხვედრილი ადამიანი და ჩამოყალიბებული კრიმინალი, თუმცა ამ ყველაფერს ინფრასტრუქტურა სჭირდება... როგორც ცნობილია, ლაითურში აშენებენ დაწესებულებას, სადაც საზოგადოებისთვის საშიში პატიმრების კატეგორია განთავსდება, საუბარია კრიმინალებად ჩამოყალიბებულ პატიმრებზე; გლდანში იხსნება ნახევრადღია ტიპის, სრულიად ახალი საპატიმრო, სადაც სამუშაო პირობები იქნება, პატიმრებს შაბათ-კვირას შინ წასვლის უფლებასაც მისცემენ და ხელფასსაც დაუნიშნავენ; ასეთივე, ნახევრადღია ტიპის დაწესებულება ქალაქ რუსთავშიც გაიხსნება... ასე რომ, პატიმრების დიფერენცირება და კლასიფიკაცია გარკვეულ შედეგს გამოიღებს“.**

„ვერსია“ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ რთულ მდგომარეობაზე ხშირად წერს. სამწუხაროდ, მდგომარეობა არ იცვლება და ამის დასტური კიდევ ერთი პატიმრის გარდაცვალებაა. ამ სფეროში რეფორმები უნდა დაჩქარდეს და კონტროლი გაძლიერდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არასახარბიელო რეალობა გაგრძელდება.



# კონდოლიზა რაისი: „პუტინი ხანგრძლივი ნადავლისთვის თამაშობს!“

**„გაიგონებს თუ არა აშშ გამოსაფხიზლებელ ზარს?“** — ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა The Washington Post აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის სტატიას უკრაინაში შექმნილი ვითარებაზე. კონდოლიზა რაისი 2004 წელს იხსენებს, როცა ვლადიმერ პუტინმა ვიქტორ იანუკოვიჩი გააცნო.

**„გაიცანით, ეს ვიქტორ იანუკოვიჩია, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში იყრის კენჭს, — 2004 წელს მე და ვლადიმერ პუტინი მის საპრეზიდენტო აგარაკზე, პუტინის კაბინეტში ვიყავით, როდესაც მოულოდნელად, მეორე ოთახიდან იანუკოვიჩი გამოჩნდა. ჩემი კაცია, უკრაინა ჩვენია და არ უნდა დაგავიწყდეთ, — მითხრა პუტინმა“,** — იხსენებს კონდოლიზა რაისი.

როგორც აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი წერს, უკრაინის პრობლემა გარკვეული დროის განმავლობაში მწიფდებოდა დასავლეთსა და რუსეთს შორის. მისივე თქმით, უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციიდან მოყოლებული, აშშ და ევროპა ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ რუსეთი, რომ ეს უზარმაზარი ქვეყანა უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც თავად გადაწყვეტდა საკუთარ კურსს და არა — ზესახელმწიფოებს შორის ერთი პაიკი.

**„პუტინი ამას ამ კუთხით არასოდეს განიხილავდა. მისთვის კიევის დასავლეთისკენ სვლა იმპერიის ყოფილი ტერიტორიების ერთგულებისთვის „ნულოვანი ჯამის“ თამაშში რუსეთის შეურაცხყოფაა. ყირიმში შეჭრა და მისი შესაძლო ანექსია, გამოგონილი შფოთვა მის რუსულენოვან მოსახლეობაზე, პუტინის პასუხია ჩვენთვის“,** — წერს კონდოლიზა რაისი.

მისივე განცხადებით, დაუყოვნებელმა შეშფოთებამ რუსეთს უნდა აჩვენოს, რომ მისი შემდგომი ნაბიჯები დაუშვებელი იქნება და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია. რუსეთის დიპლომატიური იზოლაცია, აქტივების გაყინვა და ვიზების გაუქმება შესაბამისი გადაწყვეტილებაა. კონდოლიზა რაისი აღნიშნავს, რომ გრძელვადიანი ამოცანა პუტინის განცხადებაზე ევროპის პოსტცივი ომის მომავლის შესახებ, პასუხია.

**„პუტინის თქმით, უკრაინა არასოდეს იქნება თავისუფალი საკუთარ არჩევანში. ეს გზავნილი აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნებისკენ იყო მიმართული. პუტინის თქმით, რუსეთს განსაკუთრებული ინტერესები აქვს, რომელსაც ნებისმიერ ფასად მიაღწევს. პუტინისთვის ცივი ომი „ტრაგიკულად“ დასრულდა. იგი დროს უკან დააბრუნებს სამხედრო დაშინების გზით, ეკონომიკური ბერკეტებით, რამდენადაც ამის საშუალებას დასავლეთის უმოქმედობა მისცემს“,** — წერს კონდოლიზა რაისი.

ამასთან, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი აღნიშნავს, 2008 წელს, რუსეთის საქართველოში შეჭრის შემდეგ, აშშ-მ საკუთარი ხომალდები გაგზავნა შავ ზღვაში, საქართველოს შეიარაღებული ძალები ერაყიდან თავიანთ ბაზებზე დააბრუნა.

**„რუსეთი უარყოფდა საბოლოო მიზანს — დაემხო დემოკრატიულად არჩეული მთავრობა, რაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩემთან აღიარა“,** — წერს კონდოლიზა რაისი და დასძენს, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიუხედავად, რუსეთის წინააღმდეგ დიპლომატიური იზოლაცია შემცირდა, ობამას ადმინისტრაციის მიერ ურთიერთობების „გადატვირთვამ“ კი ჩეხეთსა და პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განთავსების გეგმების გადახედვა გამოიწვია.

**„ამჯერად, სხვაგვარად უნდა მოხდეს — პუტინი ხანგრძლივი ნადავლისთვის თამაშობს და მოხერხებულად იყენებს ყველა შესაძლებლობას. უნდა გამოვიყენოთ თუ არა ჩვენ სტრატეგიული მოთმინება მის შესაჩერებლად? მოსკოვი არ არის დაცული ზეწოლისგან, ახლა არც 1968 წელია და არც საბჭოთა კავშირი. რუსებს უცხოური ინვესტიციები სჭირდებათ, ოლიგარქებს კი მოსწონთ პარიზსა და ლონდონში მოგზაურობა, საზღვარგარეთ მათ ანგარიშებზე უამრავი არალეგალური გზით ნაშოვნი ფული ინახება, ვერც სინდიკატი, რომელიც რუსეთს მართავს და ვერც კრემლის ბიუჯეტი ვერ დაუშვებს ნავთობზე ფასების დაწევას და მალე ჩრდილოეთ ამერიკის ნავთობისა და გაზის სუბსიდიები რუსეთის ნავთობის მოცულობას გადაფარავს. ევროპამ კი საბოლოოდ უნდა მოახდინოს მისი ენერგომომარაგების დივერსიფიკაცია და გამოიყენოს გაზსადენები, რომელიც რუსეთზე არ გაივლის“,** — წერს რაისი და დასძენს, — **„ჩვენ არ უნდა დავმარცხდეთ, როგორც ეს ერაყში მოხდა და უკან არ უნდა მოვიტოვოთ ნარჩენები. 10 ათას შეიარაღებულ სამხედროზე ნაკლების დატოვება, მიუთითებს, რომ არ ვართ სერიოზულად განწყობილნი, დავეხმაროთ ქვეყანაში ვითარების დასტაბილიზებას. უკრაინაში განვითარებული მოვლენები გამოსაფხიზლებელი ზარი უნდა იყოს მათთვის, ვისაც სჯერა, რომ აშშ უნდა გაექცეს პასუხისმგებლობას. თუ ამას ყურადღება არ მიექცევა, მსოფლიოს გარშემო დიქტატორებსა და ექსტრემისტებს მეტი გამბედაობა მიეცემათ, ჩვენ კი ძვირად დაგვიჯდება ეს, რადგან ჩვენი ინტერესები და ფასეულობები მათ კვალზე გაითელება“.**

## განათლება

# „ჩვენ ვქმნით თქვენს მომავალს“!

**აქ სულ სხვა სივრცეა! სიმშვიდე! უშუალო, ლაღი და ადამიანური გარემო! განათლებისა და კულტურული დასვენებისთვის იდეალური პირობები! ნათელი და დიდი შენობები! ცხოვრების აქტიური და დინამიური ტემპი! ეს ტრადიციულ ღირებულებებზე დაფუძნებული ევროპული სტანდარტების აკრედიტებული და ავტორიზებული კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტია, სადაც შედეგები დაპირებაზე მეტია და სადაც რეალურად ქმნიან თქვენს, ჩვენს და ქვეყნის მომავალს!**

**სწავლისთვის ხელმისაწვდომი ფასები! მაღალი სტანდარტების განათლება! სტუდენტებზე მორგებული და ორიენტირებული გარემო! საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი პროფესორები! უმაღლესი ტექნიკური აღჭურვილობა! სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები! მუდმივი კავშირი და ურთიერთთანამშრომლობა ევროპის საუნივერიტეტო სივრცესთან! აქტიური ჩართულობა TEMPUS-ის საგრანტო პროგრამებში! ეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრიორიტეტებია!**

**თუმცა, უმთავრესი პრიორიტეტი, პირველ რიგში, ამ უნივერსიტეტში არსებული საოცრად პოზიტიური და ადამიანური გარემოა. აქ, განათლებასთან ერთად, წარმატებულ ცხოვრებასაც ასწავლიან. „ჩვენ სტუდენტებს ვეხმარებით არა მარტო კარგად ორგანიზებული ცოდნის მოპოვებაში, არამედ ჯანსაღი ცხოვრებისეული ხედვის გამომუშავებაშიც, რაც მათ ცოდნას ძალად აქცევს და დაარწმუნებს, რომ საკუთარ თავში ყოველთვის შეიძლება აღმოაჩინო ახალ-ახალი წარმატებებისთვის ბრძოლის სურვილი!“ — ასე სჯერა კავკასიის საერთაშორისო უნვიერსიტეტის რექტორს, კახაბერ კორძაიას, რომელსაც ძნელია, არ დაეთანხმო.**

ინტერვიუ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორ კახაბერ კორძაიასთან (კიოტოს უნივერსიტეტის მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი)




**— ბატონო კახაბერ, თქვენი უნივერსიტეტის დევიზია „ჩვენ ვქმნით თქვენს მომავალს“. საზოგადოების რაღაც ნაწილისთვის ეს, ალბათ, ამბიციური განაცხადია...**

— ეს ჩვენი ჯანსაღი ამბიციაა! რამდენად რეალურია ჩვენი შეთავაზება, ამის დანახვა რთული არ არის! თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე ჩვენი უნივერსიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია, რასაც განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი! კსუ ორიენტირებულია უმაღლესი აკადემიური სტანდარტების კადრების მომზადებასა და მათ მომავალზე, ამიტომ აქ პრიორიტეტულია წარმატებასა და დასაქმებაზე გათვლილი სპეციალობები; უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოთხი ფაკულტეტი: სოციალურ მეცნიერებათა (ჟურნალისტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები), ბიზნესის (მენეჯმენტი, ფინანსები, ტურიზმი), სამართლისა და მედიცინის (მედიცინა, სტომატოლოგია, ფარმაცია).

კსუ გამოირჩევა კეთილმოწყობილი სასწავლო კორპუსებით, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებით, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიებით, საკონფერენციო და საჯარო ლექციების დარბაზებით, მდიდარი წიგნადი და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდით, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ აღიარებული აკადემიური კადრებით; უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო პოტენციალის გაზრდასა და განვითარებაზე; პასუხისმგებელია სტუდენტთა საფუძვლიანი განათლების ხარისხზე; წარჩინებულ სტუდენტებს ენიშნებათ სტიპენდია;

კსუ-ს მთავარი პრიორიტეტია სტუდენტთა დასაქმება, რასაც განაპირობებს ჩვენი სტუდენტების მაღალი სტანდარტების პროფესიული უნარ-ჩვევები.

უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაცია. კსუ-ს თანამშრომლობა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან საშუალებას აძლევს ჩვენს სტუდენტებს, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები გაიარონ საზღვარგარეთ.

უნივერსიტეტი ცდილობს, საფუძვლიანი განათლების მიღების პარალელურად უზრუნველყოს თითოეული სტუდენტის ჩართულობა კულტურულ, რეკრეაციულ და სპორტულ ცხოვრებაში; ამ მიზნით კსუ-ში ფუნქციონირებს სპორტული სექციები, ხატვის, ქართული ცეკვისა და სიმღერის სტუდიები, თეატრალური დასი, მუსიკალური ბენდი და სხვა; სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობა უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებების დაცვასა და მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

უნივერსიტეტი ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს; იძლევა უმაღლესი აკადემიური სტანდარტების განათლებას, რაც რეალურად განსაზღვრავს სტუდენტთა ცოდნის ბაზას, მათ ძალასა და მომავლის პერსპექტივას! ამ ფონზე, გვაქვს ამბიცია, რომ ვქმნით ღირსეულ მომავალს იმ ათასობით ადამიანისა, რომლებიც სწავლობენ და მომავალშიც გააგრძელებენ სწავლას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

**— რამდენად ხელმისაწვდომია ფინანსურად სწავლა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის?**

— ჩვენი უნივერსიტეტი, სახელმწიფო უნივერსიტეტების შემდგომ, ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომია. ფასები ახლოსაა სახელმწიფოს მიერ ფიქსირებულ თანხებთან. ახალგაზრდებს საშუალებას ვაძლევთ, მაღალი ხარისხის განათლება შედარებით დაბალ ფასად მიიღონ. მეტიც, ვცდილობთ, წარჩინებული სტუდენტები წავახალისოთ. სტიპენდია ჩვენთან საკმაოდ მაღალია — 100 ლარი. ამასთან გაცვლითი პროგრამები გვაქვს პოლონეთში, უკრაინაში, თურქეთში, აზერბაიჯანში, გერმანიაში, რომლებიც წარჩინებული სტუდენტებისთვის უფასოა. საერთაშორისო პარტნიორების არეალს ნელ-ნელა ვაფართოებთ. მათ, ვინც ჩვენ უნივერსიტეტში წელს ჩააბარებს, ევროპული უნივერსიტეტების ბევრად ფართო სპექტრი დახვდება. მათ მიეცემათ შანსი, გაცვლითი პროგრამების საშუალებით, ჩვენთან სწავლის ფარგლებში, ერთი სემესტრი ან ერთი აკადემიური სასწავლო წელი, რომელიმე უცხოურ სასწავლებელში ისწავლონ.

**— უცხოელ სტუდენტებს აქვთ კსუ-ში სწავლის სურვილი?**

— დიახ. ჩვენთან 150-მდე უცხოელი სწავლობს. ისინი, ძირითადად, მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამებს ეუფლებიან.

**— და ბოლოს, რას ეტყვით იმ აბიტურიენტებს, რომლებიც აპირებენ, სწავლა გააგრძელონ კავკასიის საერთაშორისო უნვიერსიტეტში?**

— ვისაც გიყვართ სწავლისა და დასვენების ჰარმონიული შერწყმა! ვისაც გაქვთ ამბიცია, შეიქმნათ ძლიერი და წარმატებული ცხოვრება! ვისაც გჯერათ, რომ თქვენი მომავალი თქვენს ხელშია! ჩვენ გელით! რადგან სწორედ ჩვენ ვქმნით თქვენს მომავალს! ისწავლეთ წარმატებისკენ მიმავალი გზა და შემოხაზეთ 115, რათა ყველა თქვენი სურვილი რეალობად იქცეს!

*ნათია მამაგულაშვილი*

## საზოგადოება

# რატომაა უცხოელებისთვის ახალი თავშესაფრის აშენება „სამარცხვინო გადაწყვეტილება“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**მარტყოფში, თავშესაფრის მაძიებელი უცხოელებისთვის, როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი დავით დარახველიძე აცხადებს, რამდენიმესართულიანი ცენტრი აშენდება. მინისტრის ინფორმაციითვე, თავშესაფრის მაძიებელთა ახალი ცენტრის დაპროექტება-დაფინანსება პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის წარმატებული ამერიკული ვიზიტის შედეგია. 80-ადგილიანი შენობის მშენებლობა, რომელზეც 2 მილიონი ლარი დაიხარჯება, წელსვე დამთავრდება.**



**„ეს ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზით გათვალისწინებული ვალდებულებაა. აქამდე 60-ადგილიანი თავშესაფარი გვქონდა, რაც არასაკმარისი იყო. აშშ-ს სარდლობის ევროპის წარმომადგენლობასთან მოლაპარაკებები იმართებოდა, რათა ახალი თავშესაფრის მშენებლობა დაფინანსებულიყო. ეს პროცესი დაჩქარდა და წელს, მარტყოფში, 80 ადგილზე გაანგარიშებული რამდენიმესართულიანი ცენტრი აშენდება“,** — აღნიშნავს დავით დარახველიძე.

მთავრობამ შვეიცარიის განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება მოიწონა, რომლის თანახმადაც, 700 000 შვეიცარიული ფრანკი ხულოს რაიონის სოფელ პანტიანის სტიქიით დაზარალებული 16 ოჯახის კახეთსა და ქვემო ქართლში გადასახლებას მოხმარდება. გრანტიდან გარკვეული თანხა მესტიის რაიონში დაზარალებული მოსახლეობისთვისაც დაიხარჯება.

მთავრობის გადაწყვეტილებითვე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტრომ თბილისში, ფეიქრების ქუჩაზე მდებარე რამდენიმე შენობა გამოისყიდა, სადაც დევნილები არიან ჩასახლებულნი. აღნიშნული ფართი 21 ოჯახს მალე საკუთრებაში გადაეცემა.

შეგახსენებთ: პარლამენტში, სამთავრობო პროგრამის წარდგენისას, პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ 2014 წლის ივნისში, ექსპლუატაციაში შევა არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი, სადაც გათვალისწინებული იქნება ადამიანის უფლებების ევროპული სტანდარტები. ასევე, შსს-ში მიგრაციის სამსახური შეიქმნება, რომელიც ქვეყანაში არალეგალურად მყოფი მიგრანტების გამოვლენასა და გაძევებაზე იქნება პასუხისმგებელი.

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერი გიორგი გუგავა თავშესაფრის მაძიებელი უცხოელებისათვის ცენტრის აშენებას, „სამარცხვინო გადაწყვეტილებად“ აფასებს:

**„ქვეყანაში უამრავი უსახლკარო ადამიანი გყავს, რომელსაც სახელდახელო კარვების ქალაქს ვუწყობთ. ამ დროს კი, უცხოელებისთვის ცენტრებისა თუ სახლების აშენება აზრად ქვეყნის მტერს ან რეგვენს შეიძლება მოუვიდეს. არ მესმის, მინისტრი დარახველიძე რითია დაკავებული? ერთია, საერთაშორისო დონორი თუ პარტნიორი რას გეუბნება, რა ინტერესი აქვს და მეორეა, შენს ქვეყანაში შექმნილი რეალური მდგომარეობა. არავინ დაგაძალებს და გაიძულებს, ისეთი რამ გააკეთო, რაც შენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესში არ შედის, მაგრამ ესენი გრანტებსა და კრედიტებზე დახამებულები არიან და ამ წინადადებას, რასაკვირველია, დაეთანხმნენ. ამ თანხის ნაწილს, ჩვეულ სტილში, შეახრამუნებენ, დანარჩენით კი უცხოელებს კეთილმოწყობილ თავშესაფარს მოუწყობენ და ჩვენები, ამ ქვეყნის მოქალაქეები უსასოოდ, უპატრონოდ მიყრილები და შიმშილ-სიღატაკისთვის განწირულნი იქნებიან.**

**უცხოელებისთვის თავშესაფარს მაშინ აკეთებენ, როცა ადგილი ომებსა და ჰუმანიტარულ კატასტროფებს აქვს და ქვეყანას ლტოლვილების დიდი რაოდენობა მოაწყდება... ხომ ნახეთ, ამ ზამთარს, ყინვაში, კარავში, შიგნით წყალი იდგა და იქ ადამიანებს ეძინათ, აღარაფერს ვამბობ კვებასა და სხვა ასეთ საკითხებზე. გრანტები და კრედიტები ასეთი საკითხების გადასაჭრელად უნდა მოიპოვონ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიტოვებული კორპუსები გაარემონტონ და ეს ადამიანები დააკმაყოფილონ. თითქოს ჩვენი არ გვყოფნიდეს, უცხოელები უნდა ჩამოვიყვანოთ და მათთვის კარგად მოწყობილი ცენტრები ავაშენოთ, ჩვენები კი, სიღატაკესა და უბედურებაში, ღვთის ანაბარა ქუჩაში დავტოვოთ. ეს ვის უნდა მოუვიდეს აზრად, თუ არა საკუთარ ჯიბეზე მაფიქრალ გაქსუებულ ხელისუფლებას?!“**

ცნობისთვის: უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის თავშესაფრის მიცემის საკითხს სახელმწიფო დამოუკიდებლად წყვეტს, რადგან ეს მის საშინაო კომპეტენციას განეკუთვნება. ამასთან, არსებობს საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც სახელმწიფოს უადვილებს თავშესაფრის ინსტიტუტის რეგლამენტაციას ამა თუ იმ პირისთვის (პოლიტემიგრანტისთვის) თავშესაფრის უფლების მიცემის შემთხვევაში. სახელმწიფოს მიერ ტერიტორიული თავშესაფრის უფლების მიცემის საკითხები რეგულირდება გაერო-ს გენერალური ასამბლეის ტერიტორიული თავშესაფრის დეკლარაციით.

# ყველაზე კომფორტულად ვენაში იცხოვრებთ



როგორც აღმოჩნდა, ყველაზე კომფორტულად ავსტრიელები ცხოვრობენ, რადგან დედაქალაქი ვენა საცხოვრებლად საუკეთესო ადგილად აღიარეს. მკვლევარებმა რეიტინგი 223 ქალაქიდან შეადგინეს, რომელთაც, პირველ რიგში, ცხოვრების ხარისხით აფასებდნენ. გარდა ამისა, ქალაქები 40 კრიტერიუმით შეფასდა, მათ შორისაა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ინფრასტრუქტურა... სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ევროპული ქალაქები იგებენ ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა დასვენების ორგანიზება და ჯანმრთელობის დაცვა. ვენის შემდეგ, რეიტინგის მეორე საფეხურზე აღმოჩნდა შვეიცარიული ციურიხი, შემდეგ მოდის გერმანიის ქალაქები — მიუნჰენი, დიუსელდორფი და ფრანკფურტი. პარიზი და ლონდონი მხოლოდ 27-ე და 38-ე ადგილებზე აღმოჩნდნენ.

# „კოკა-კოლა“ მხოლოდ შეყვარებულებისთვის



„კოკა-კოლამ“ საკმაოდ უჩვეულო საჩუქარი გაუკეთა შეყვარებულებს — კომპანიის თანამშრომლებმა მაღალტექნოლოგიური სავაჭრო აპარატი შექმნეს, რომლით სარგებლობაც მხოლოდ წყვილებს შეუძლიათ. როცა წყვილი აპარატთან ჩაივლის, თავიდან თითქმის არაფრით გამორჩეული უზარმაზარი დისპლეი უცებ ნათდება და შეყვარებულებისთვის ლამაზ წარმოდგენას აწყობს. აპარატი კლიენტების სახელებს ეკითხება და რამდენიმე წამში მათთვის საფირმო ქილებს უშვებს, რომელზეც მათი სახელებია წაწერილი. ეს ყველაფერი საკმაოდ ეფექტურად გამოიყურება. თუმცა, ამ კრეატიული ნაბიჯის გამო „კოკა-კოლა“ უკვე გააკრიტიკეს მარტოხელა ადამიანებმა.

# საგზაო მოძრაობის უჩვეულო წესები



ევროპელი მძღოლები შეიძლება გინებისთვის დააჯარიმონ, ამერიკაში კი ფულს გასარეცხი მანქანისთვის ახდევინებენ. თუ ქართველ მძღოლს კრიტიკულ სიტუაციაში ემოციები ეძალება, განცდას უესტებით გამოხატავს, გერმანიაში კი მსგავს ემოციებზე ერთგვარი „პრეისკურანტია“ დაწესებული — აქაური მძღოლი ჯარიმას იხდის, თუკი შუა თითის ჩვენებაში, ენის გამოყოფასა და უწმაწური სიტყვების თქმაში გამოიჭერენ. ყველაზე მცირე ჯარიმა სიტყვა „იდიოტისა“ და „შერეკილზეა“ დაწესებული — ასეთი გამოთქმა მძღოლს 250 ევრო უჯდება. „ბებერი ღორისა“ და სხვა სიტყვებისთვის კი 2,5 ათას ევროს იხდის. თუკი მძღოლი პოლიციელს შენობით მიმართავს, შესაძლოა, 600-ევროიანი ჯარიმაც „აირტყას“.

აშშ ყოველთვის რეკორდსმენია უცნაური საგზაო წესების მხრივ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი, მარტივად რომ ვთქვათ, გაოცებას იწვევს. მაგალითად, კანზასის შტატში მძღოლს ეკრძალება ავტომანქანის ბლუილი. თავად აკრძალვა არ არის უცნაური, გასაკვირი სასჯელია — ვინც მეორედ დააჭერს პედალს ფეხს, შეიძლება 30 დღე გისოსებმიღმა გაატაროს. რაც შეეხება საბურავებს, მინესოტას შტატში კანონდარღვევად მიიჩნევა მასზე ტალახის არსებობა და 2 ათასი დოლარით ისჯება. ორეგონის შტატში თუ აღმოჩნდებით, ნუ დააგვიანებთ თქვენი ავტომობილის კარის მიხურვას — აქ ღია კარის დატოვება აკრძალულია და კანონდამრღვევს 90-დოლარიანი ჯარიმის გადახდა ემუქრება. ვაშინგტონის შტატში ყოველი მძღოლი, რომელსაც დანაშაულის ჩადენა აქვს განზრახული, ვალდებულია, ქალაქში შესვლისას პოლიციის უფროსს დაურეკოს და საკუთარი გეგმების შესახებ განუცხადოს. ეს კანონი დანაშაულის რაოდენობის შემცირებას ითვალისწინებს, მისი შეუსრულებლობა კი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა.

გალიზიანებთ ფეხით მოსიარულეები და გადასასვლელები? თუკი თქვენ ჩინეთში წასვლა მოგიხდათ, შეგიძლიათ, ყურადღება არ მოაქციოთ ფეხით მოსიარულეებს — ამ ქვეყანაში მძღოლებს ეკრძალებათ მათ წინ გაჩერება და წესების დამრღვევებს 5 იუანით აჯარიმებენ.



ბევრ ევროპულ ქვეყანაში, მათ შორის დანიასა და ჩეხეთში, ყოველთვის ანთებული ფარებით უნდა იმოძრაოთ და თუკი რამე მიზეზით გამორთავთ, 100-დოლარიან ჯარიმა გარანტირებულია.

საფრანგეთში მძღოლმა შეიძლება დალიოს, მაგრამ სისხლში ალკოჰოლი 0,5 პრომილეზე მეტი არ უნდა იყოს, რაც 1,5 ან 2 ბოთლ ლუდს შეესაბამება, ხოლო თუკი მაინც გადააჭარბებთ დასაშვებ ნორმას, მაშინ ნება უნდა იბოძოთ და 135-ევროიანი ჯარიმაც გადაიხადოთ, ავტომობილს კი პოლიცია მანამდე ჩამოგართმევთ, ვიდრე არ გამოფხიზლდებით.

# სასტუმრო რელსებზე



ესპანეთის სარკინიგზო კომპანიამ Renfe მიიღო გადაწყვეტილება, გახსნას მსოფლიოში პირველი სასტუმრო რელსებზე. ოტელის საძინებელ ადგილებს, რომელსაც Train and Breakfast უწოდეს, უშუალოდ, ვაგონში მოაწყობენ, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე იმოძრავებს. აღსანიშნავია, რომ სასტუმროს შესაქმნელად ჩვეულებრივ ვაგონს კი არ გამოიყენებენ, არამედ სპეციალურად შექმნილს, რომელსაც Cabina Gran Clase უწოდეს. ვაგონში სასტუმროსთვის ყველა საშუალება იქნება წარმოდგენილი — რესტორანიცა და ლობიც. უჩვეულო პროექტის ავტორები ვარაუდობენ, რომ ახალი კონცეფცია გამოსასვლელ დღეები ტურების მოყვარულებს დააინტერესებს.

# ტაძრის მარტოხელა მშენებელი



ალბათ, ძალიან ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ადამიანი, ვინც მთელ ცხოვრებას ერთ სამუშაოზე ატარებს. და კიდევ უფრო ნაკლები — ვინც სიცოცხლეს ერთადერთ პროექტს უძღვნის. ესპანელი ხუსტო გალიეგო მარტინესი ერთ-ერთი ასეთი ახირებული ადამიანია, რომელიც 88 წლისაა და მან 53 წელი მადრიდში დიდი ტაძრის მშენებლობას შეალია. ეკლესიის სამშენებლო სამუშაოები 1961 წელს დაიწყო მიწის იმ ნაკვეთზე, რომელიც მშობლებისგან ერგო. იგი აქ ერთადერთი დიზაინერი, ინჟინერი და მუშაა, სამშენებლო მასალად იყენებს ყველაფერს, რის მოგროვებასაც ახერხებს — ძველი აგურები, კასრები, ხის მასალა... ზოგჯერ ადგილობრივი საწარმოებიც ჩუქნიან ხოლმე სამშენებლო მასალას. ტაძრის მშენებლობის საერთო გეგმა არ არსებობს, ავტორმა კი საკუთარი ქმნილება უკვე უანდერძა კათოლიკურ ეკლესიას და იმედოვნებს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მაინც ჩატარდება აქ წირვა-ლოცვა. საზოგადოების დამოკიდებულება ამ ერთგვარი არქიტექტურული ძეგლის მიმართ განსხვავებულია: სკეპტიკოსებს სურთ, როგორმე ბოლო მოეღოს გაუთავებელ მშენებლობას, სხვებს კი, პირიქით, მიაჩნიათ, რომ დაუსრულებელი სახიათაც კი ტაძარი ტურისტებს იზიდავს და იმსახურებს, არქიტექტურულ ძეგლად აღიარონ.




**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 6 | | | 7 | 4 | |
| | | | | | 2 | | | 1 |
| | 4 | 2 | | 1 | 7 | | 3 | |
| | | | 8 | 7 | | | | |
| 9 | 7 | | | | | | 1 | 6 |
| | | | | 9 | 1 | | | |
| | 1 | | 7 | 8 | | 3 | 5 | |
| 7 | | | 3 | | | | | |
| | 5 | 3 | | | 4 | | | |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 8 | 7 | | | 4 | 3 | |
| | | 3 | | | | | | 6 |
| | 5 | | | 8 | | | | 7 |
| | | | | | 3 | | 7 | |
| | | | 5 | 2 | 1 | | | |
| | 1 | | 9 | | | | | |
| 8 | | | | 5 | | | 4 | |
| 4 | | | | | | 6 | | |
| | 6 | 9 | | | 4 | 7 | | 5 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 7 | |
| 5 | | | | | 7 | 6 | | 1 |
| 1 | 7 | 6 | 3 | 2 | | | | |
| | | | 5 | | | | | 2 |
| | | 1 | | 3 | | 9 | | |
| 3 | | | | | 4 | | | |
| | | | | 9 | 5 | 2 | 1 | 8 |
| 6 | | 9 | 2 | | | | | 4 |
| | 8 | | | | | | | |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | | 5 | | | 3 | |
| 5 | 4 | | 3 | | | | | 7 |
| | | 9 | 8 | | | 1 | | |
| | | | | 1 | | | | |
| | 3 | 4 | | | | 2 | 7 | |
| | | | | 3 | | | | |
| | | 3 | | | 4 | 8 | | |
| 6 | | | | | 5 | | 9 | 4 |
| | 8 | | | 6 | | | | 5 |

## ტყუპისცალი ძმა დის უშვილობის რისკს ზრდის




მამრობითი სქესის ტყუპისცალი მნიშვნელოვნად აქვეითებს ქალის შანსს, ბავშვები გააჩინოს, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი მეცნიერები, რომელთაც რამდენიმე ასეული ტყუპის ოჯახური ისტორია შეისწავლეს. შეფილდის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა გამოიყენეს მონაცემები, რომელიც ფინეთში 1734-1888 წლებში იყო შეკრებილი. ასეთი შორეული პერიოდი სწავლულებმა შეგნებულად აარჩიეს: მკვლევარებს აინტერესებდათ სტატისტიკა, რომელზეც გავლენას ვერ მოახდენდა უშვილობის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები. როგორც გაირკვა, ტყუპისცალი ძმის არსებობა 25%-ით ზრდიდა უშვილობის რისკს იმ ქალებთან შედარებით, რომელთაც ტყუპისცალი და ჰყავდათ. აღმოჩენილი კანონზომიერება ნაწილობრივ გათხოვების ნაკლები შანსით იხსნებოდა, რადგან ის ქალები, რომელთაც ტყუპი ძმა ჰყავდათ, 15%-ით ნაკლებად თხოვდებოდნენ. ამავე დროს, მეცნიერთა მოსაზრებით, უშვილობის რისკი ნაწილობრივ იმ ფაქტითაც აიხსნება, რომ ტესტოსტერონი ნეგატიურ გავლენას ახდენს მდედრობითი სქესის ემბრიონის ორგანიზმზე. მათი თქმით, ძმის ჰორმონის გავლენამ, რომელიც მდედრობით ემბრიონში შეიძლება პლაცენტის გავლით მოხვდეს, სქესობრივი შერჩევის მხრივ, ნაკლებად ხელსაყრელი მასკულინური გარეგნობა ჩამოაყალიბოს, ასევე იმოქმედოს ქალის სასქესო სისტემის ისეთი დაავადებების განვითარებაზე, რასაც საბოლოოდ, უშვილობამდე მივყავართ. ბრიტანელი სწავლულების ამ ჰიპოთეზას ადასტურებს ცხოველებზე ჩატარებული ზოგიერთი ექსპერიმენტის შედეგებიც. კერძოდ, ტესტოსტერონის ზემოქმედებამ ცხვრებში, მათი მუცლადყოფნის პერიოდში, საკვერცხეების პოლიკისტოზის განვითარება გამოიწვია. ეს დაავადება კი ადამიანებში, როგორც ცნობილია, უშვილობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია.

## ამერიკელები ბავშვების გენმოდიფიცირებასაც აპირებენ



აშშ-ში დაიწყეს ადამიანების გენური მოდიფიკაციის ბიოლოგიური პროცედურების განხილვა. ტექნოლოგია მოწოდებულია, პატარები მემკვიდრეობითი დაავადებებისგან იხსნან. ექსპერტები ამ ტექნოლოგიას „მიტოქონდრიებით მანიპულაციას“ უწოდებენ — ამ დროს მემკვიდრეობითი დაავადების მქონე ქალის კვერცხუჯრედიდან ანუ ემბრიონიდან კვეთენ ბირთვულ მასალას და გადააქვთ დონორის ჯანმრთელ კვერცხუჯრედში ან ემბრიონში. ეს მეთოდი ავადმყოფ მშობლებს საშუალებას მისცემს, ჯანმრთელი შვილები იყოლიონ. მედიკოსები აცხადებენ, რომ ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ასაკით გამოწვეული უშვილობის შემთხვევაშიც. მიზნები ღირებულია, მაგრამ მეთოდები უკიდურესად პრობლემატურია საზოგადოებისთვის სამედიცინო რისკებისა და შედეგების მხრივ. რამდენად შორს წავალთ ადამიანების გენური ინჟინერიის საკითხებში? — კითხულობს ერთ-ერთი მეცნიერი. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ადამიანების გენეტიკური მოდიფიკაციის ტექნოლოგია მხოლოდ მედიცინას უნდა ემსახურებოდეს და სიტუაცია არ უნდა დავიდეს მომავალი ბავშვების გარეგნობის ცვლილებამდე.

## დღეში ერთი ღერი სიგარეტიც კლავს



მწეველები თავს საფრთხეში რომ იგდებენ, ეს ყველასთვის ცნობილია. მაგრამ ცოტა ხნის წინ სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ სასიკვდილო საფრთხე არა მხოლოდ მათ ემუქრება, ვინც ბევრს ეწევა, არამედ დღეში ერთი ღერიც კი საკმარისია, გულსისხლძარღვთა უამრავი დაავადების წარმოქმნის რისკი სამჯერ გაიზარდოს. არსებობს ადამიანების კატეგორია, რომელთაც სოციალურ მწეველებს უწოდებენ — ისინი ამ მავნე ჩვევას პერიოდულად, დროდადრო უბრუნდებიან. ასეთ მწეველებს თვეში ერთი კოლოფი სიგარეტიც ჰყოფნით და ამიტომ დარწმუნებულები არიან, რომ მათ ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება. ექსპერტები კი ამტკიცებენ, რომ ეს მოსაზრება მცდარია — თუ ადამიანი დღეში ერთ ღერს ეწევა, მისი ჯანმრთელობა სერიოზული საფრთხის ქვეშ დგება. თამბაქოსგან განსაკუთრებით ქალები ზარალდებიან.

## პრეპარატი, რომელმაც კიბო დაამარცხა



დიდი ბრიტანეთის მცხოვრებ იან ბრუკსს კიბოს იშვიათი და აგრესიული ფორმა ჰქონდა — მის სხეულშიც 70-ზე მეტი ავთვისებიანი სიმსივნე გაჩნდა და ექიმების თქმით, პაციენტს რამდენიმე კვირის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. მედიკოსებმა მკურნალობის ყველა მეთოდი სცადეს, მაგრამ დაავადებასთან ვერაფერს გახდნენ, თუმცა, მიუხედავად ამ უიმედო პროგნოზისა, 47 წლის ბრუკსი ამჟამად სრული რემისიის მდგომარეობაშია — იგი პირველი ადამიანია, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა სიმსივნის საწინააღმდეგო ახალი პრეპარატი და შედეგად ყველა სიმსივნური წარმონაქმნი გაქრა. კლინიკური ცდები, რომელიც მანჩესტერის კრისტის საავადმყოფოში მიმდინარეობდა, იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ გადაწყვიტეს, ახალი წამალი სხვა ავადმყოფებზეც გამოეცადათ. იან ბრუკს დაავადება 2011 წელს აღმოაჩნდა და თავიდან მკურნალობას ექვემდებარებოდა, მაგრამ 2008-ში დაავადება გააქტიურდა, მამაკაცს ღეროვანი უჯრედებიც გადაუნერგეს, მაგრამ კიბო სულ უფრო სწრაფად ვრცელდებოდა. როცა გადარჩენის ყველა იმედი ამოიწურა, ბრუკსმა გადაწყვიტა, ახალი პრეპარატის კლინიკურ ცდებში მიეღო მონაწილეობა და მისი ჯანმრთელობა პრეპარატის მიღებიდან პირველივე 24 საათში გაუმჯობესდა. ევროპის უდიდესი კიბოს ცენტრის ექიმები გაოცებულნი დარჩნენ, როცა სკანირების შედეგები ნახეს. მკურნალობის მე-12 კვირაზე ონკოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ბრუკსის სხეული სრულად გათავისუფლდა სიმსივნისგან.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 2 | 4 | 1 | 7 | 9 | 8 | 5 | 6 | 3 |
| 8 | 7 | 3 | 5 | 1 | 6 | 4 | 2 | 9 |
| 4 | 8 | 9 | 6 | 7 | 5 | 3 | 1 | 2 |
| 3 | 2 | 7 | 1 | 8 | 4 | 9 | 5 | 6 |
| 6 | 1 | 5 | 3 | 2 | 9 | 8 | 7 | 4 |
| 1 | 6 | 4 | 2 | 5 | 3 | 7 | 9 | 8 |
| 7 | 3 | 8 | 9 | 6 | 1 | 2 | 4 | 5 |
| 5 | 9 | 2 | 8 | 4 | 7 | 6 | 3 | 1 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 8 | 4 | 7 | 1 | 6 | 5 | 3 |
| 1 | 7 | 6 | 5 | 9 | 3 | 4 | 2 | 8 |
| 5 | 3 | 4 | 8 | 2 | 6 | 1 | 9 | 7 |
| 9 | 2 | 7 | 6 | 5 | 4 | 8 | 3 | 1 |
| 4 | 6 | 3 | 1 | 8 | 9 | 5 | 7 | 2 |
| 8 | 5 | 1 | 7 | 3 | 2 | 9 | 6 | 4 |
| 7 | 4 | 5 | 3 | 6 | 8 | 2 | 1 | 9 |
| 6 | 8 | 2 | 9 | 1 | 7 | 3 | 4 | 5 |
| 3 | 1 | 9 | 2 | 4 | 5 | 7 | 8 | 6 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | 6 | 5 | 3 | 9 | 2 | 1 | 8 |
| 2 | 3 | 5 | 1 | 8 | 7 | 6 | 4 | 9 |
| 1 | 9 | 8 | 6 | 4 | 2 | 7 | 3 | 5 |
| 6 | 5 | 7 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 | 3 |
| 3 | 4 | 9 | 8 | 5 | 6 | 1 | 7 | 2 |
| 8 | 1 | 2 | 7 | 9 | 3 | 5 | 6 | 4 |
| 9 | 8 | 1 | 3 | 7 | 5 | 4 | 2 | 6 |
| 7 | 2 | 4 | 9 | 6 | 8 | 3 | 5 | 1 |
| 5 | 6 | 3 | 2 | 1 | 4 | 8 | 9 | 7 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 |
| 9 | 4 | 7 | 3 | 6 | 2 | 5 | 1 | 8 |
| 6 | 8 | 3 | 5 | 4 | 1 | 9 | 7 | 2 |
| 8 | 7 | 5 | 4 | 9 | 6 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 6 | 2 | 1 | 7 | 8 | 4 | 5 | 9 |
| 4 | 1 | 9 | 2 | 5 | 3 | 8 | 6 | 7 |
| 2 | 3 | 4 | 8 | 1 | 5 | 7 | 9 | 6 |
| 7 | 9 | 8 | 6 | 2 | 4 | 1 | 3 | 5 |
| 1 | 5 | 6 | 7 | 3 | 9 | 2 | 8 | 4 |

მე-12 გვერდი: 1. ჰიპოპოტამი; 2. სკიპიდარი; 3. ჰაბანერა; 4. პორტიე; 5. პრადო; 6. „ტაიდი“; 7. კამეა; 8. პიქტოგრამა; 9. დონატელო; 10. რაკეტა; 11. აბორდაჟი; 12. ეროტიკა; 13. რვალი; 14. „ნაიკი“; 15. მექანიკა; 16. სნუკერი; 17. არინა; 18. იმპალა; 19. ნეირონი; 20. ოსტატი; 21. ურო; 22. ცილინდრი; 23. პიცა; 24. სარი; 25. ვერე; 26. რული; 27. მარენგო; 28. ფრესკა; 29. კილიტა; 30. ეკიუ; 31. ანაკონდა; 32. რუკა; 33. ამატი; 34. კონდორი; 35. ბურიმე; 36. ურალი; 37. პრასი; 38. „ონა“; 39. ტალერი; 40. შტილი; 41. იონი; 42. პა; 43. ამონალი; 44. დარი; 45. პან; 46. პაი; 47. როტი; 48. ანდრე; 49. მოლა; 50. კარიბუ; 51. „პსპ“; 52. ასი; 53. სე; 54. არარატი; 55. სელინ; 56. ინგა; 57. არა; 58. იეტი; 59. რაკია; 60. ალაო; 61. იენი; 62. ბანტუ; 63. ასტანა.



1. ქალის საზაფხულო უსახელო კაბა
2. ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული
3. მეხსიერების დაკარგვა
4. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
5. სპექტაკლის პირველი წარმოდგენა
6. რუსების და ყოველივე რუსულის სიყვარული
7. ძვ. ქართული საბავშვო ფილმი
8. „ჯადოსნური სასმელი“
9. სათევზაო მოწყობილობა
10. კუნძულოვანი ქვეყანა ჩრდ. ევროპაში
11. მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი
12. ავანგარდის ანტონიმი
13. მოკლე ლექსები ეპიგრამების სახით
14. მცენარეული საღებავი
15. მეცნიერება დროის გამოთვლის შესახებ
16. ქართული ტელეარხი
17. უფლისგან შერისხული ერთ-ერთი ქალაქი
18. თქმულება ღმერთების შესახებ
19. ინგლისური წარმოშობის ცეკვა
20. დღეღამური პერიოდ. ქარი ზღვაზე
21. პირამიდების დარაჯი
22. ძველებური კაბა, იგივე კრინოლინი
23. იგივეა, რაც ჩრდილი
24. მიწის თხილი
25. კარელია-ფინეთის ხალხური ეპოსი
26. პატარა საწნახელი
27. ქართული მითოლოგიის გმირი
28. ფრანგი მსახიობი ანუკ ...
29. კორეის თვითსახელწოდება
30. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
31. საქართველოს ვალუტა
32. ტროპიკული ხილი
33. მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში
34. მარჯვე, ეფექტური ილეთი
35. ყურით აღქმული ბგერა
36. მასტროიანის სახელი
37. კათოლიკური მესა „... მარია!“
38. მოქალაქეობის ამორჩევა
39. სკანდინაველთა უზენაესი ღმერთი
40. პატარა მთა
41. მუსიკალური გამის II ნოტი
42. ავტომატური ელექტროხელსაწყო
43. პროფესიონალი მონადირე
44. სპორტული იარაღი
45. კოლოფი, რომელსაც იაპონელები მუდამ ჯიბით ატარებენ
46. შიშველი სხეული ფერწერაში
47. ხორციანი კორკოტი
48. ზევსის დედა
49. ესპერანტოს ვარიანტი
50. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
51. მიმდინარეობა თანამედროვე მუსიკაში
52. დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალი
53. ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
54. მკითხაობის ტიბეტური სისტემა
55. მდინარე აზიაში
56. პიპინია ერისთავის ძაღლის სახელი
57. სამოქ. ავიაციის საერთაშორ. ორგანიზაცია
58. საკურორტო ქალაქი ლატვიაში
59. გაზაფხულის ყვავილი
60. დიდი ჩაქუჩი
61. ისრის წვერი
62. გაუშლელი ყვავილი
63. წიწვოვან მცენარეთა ყვავილედი

# სიცხეს სარკე გაზომავს



იაპონურმა ელექტროტექნიკურმა კონცერნმა NEC უკონტაქტო თერმომეტრი შექმნა, რომელიც ჩვეულებრივ, მაგიდის სარკეს ჰგავს. საკმარისია, ადამიანმა უბრალოდ, ჩაიხედოს და რამდენიმე წამში სარკის ზედაპირზე შედეგი — სხეულის ტემპერატურა გამოისახება. თუ სიცხე საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა, სარკე შემაშფოთებელ სიგნალს გამოსცემს. იაპონელ გამომგონებელთა აზრით, ახალი ქმნილება შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის სწრაფად შემოწმებისთვის ნებისმიერ ადგილას — ეს განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება გრიპის ეპიდემიის დროს. კომპანია გეგმავს, წლეულს ასეთი ხუთი ათასზე მეტი სარკე-თერმომეტრი გაყიდოს, რომელსაც ორ ვარიანტად გამოუშვებს და ფასიც, შესაბამისად, 98-და 120 ათასი იენი (დაახლოებით 1000 და 1400 დოლარი) იქნება.



# კაცების მომხიბვლელობის საიდუმლო

ბრიტანელ მკვლევართა თქმით, მამაკაცის ხელის თითების სიგრძეზეა დამოკიდებული ხასიათი და წარმატება სუსტი სქესის წარმომადგენლებს შორის. ინგლისელმა სწავლულებმა, ფრანგ და შვეიცარელ კოლეგებთან ერთად, გაარკვიეს, რომ ქალებში წარმატების მეტი შანსი იმ მამაკაცებს აქვთ, რომელთაც არათითი საჩვენებელზე გაცილებით გრძელი აქვთ. თითების სიგრძის ასეთი პროპორციების მქონე მშვენიერი სქესი კი მამაკაცური ხასიათითა და აგრესიულობით გამოირჩევა. რამდენადაც მცირეა ეს შეფარდება, იმდენად რბილია ადამიანის ხასიათი. მკვლევართა აზრით, ამ მოვლენის მიზეზი ორგანიზმში ტესტოსტერონის შემცველობაა, რაც გავლენას ახდენს ადამიანის გარეგნობაზე, კერძოდ — ხელის მტევნის ძვლების პროპორციაზე, სახის ნაკვთებსა და წყობაზე. სპეციალისტებმა ისიც გაარკვიეს, რომ არათითის სიგრძე წარმატების „გარანტიაა“ არა მხოლოდ პირად ფრონტზე, არამედ კარიერაში. ასეთი მამაკაცი გამოირჩევა მიზანდასახულობით, ფიზიკური ძალით, თუმცა, იმავდროულად, ისინი სხვებზე გაცილებით ხშირად ხვდებიან ციხეში ან ფსიქიატრიულში. გრძელი არათითის მქონე მანდილოსნებს მიდრეკილება აქვთ ლესბოსელობისკენ, თუმცა გაცილებით წარმატებულნი არიან კარიერაში.



# ცუნამი ხმელთაშუა ზღვასაც ემუქრება?

ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნები, მათ შორის ეგვიპტე, უახლოეს სამ წელიწადში დამანგრეველი ცუნამის წინაშე აღმოჩნდებიან, — ასეთი გაფრთხილება მიიღეს რეგიონის ქვეყნებმა ეგვიპტელი და იტალიელი სწავლულებისგან. მათი მონაცემებით, სამი კუნძულის — კვიპროსის, როდოსისა და კრეტას რაიონში ძლიერი მიწისძვრა მოხდება, რის შედეგადაც ცუნამი წარმოიქმნება და ზღვისპირა ქალაქებს მრავალმეტრიანი ტალღები შეუტევს. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტის მთავრობამ უმალ ყურად იღო მეცნიერების დასკვნა, რასაც კრიზისული სიტუაციების საგანგებო ცენტრიც შეისწავლის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოულოდნელი წინასწარმეტყველება ნამდვილად არ არის — 4 ათასი წლის განმავლობაში მიწისძვრების ისტორიის შესწავლის შედეგად სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეგვიპტე ცუნამით 21-ჯერ უკვე დაზარალდა — მხოლოდ XX საუკუნეში 52 მიწისძვრა დაფიქსირდა, რომელთა ეპიცენტრი ზღვაში იყო.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.